

ბიორბი ბახარია - სახელმწიფო მომავალშიც ბანაბრობს ადგილობრივი წარმოების მხარდაჭერას



ალიონი. ადგილობრივი წარმოების მხარდაჭერა გაგრძელდება, რადგან ეს ხელს უწყობს მოსახლეობის დასაქმებას და მცირე საწარმოების განვითარებას; სწორედ ამ მიზანს ემსახურება ის სახელმწიფო პროგრამები, რომლებსაც უკვე არაერთი წელია, ჩვენი ხელისუფლება ახორციელებს, - ამის

შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა **გიორგი გახარია**მ გურიაში, სოფელ კვირიკეთში განაცხადა, სადაც მთავრობის ადმინისტრაციის რეგიონული პოლიტიკისა და კოორდინაციის სამსახურის ხელმძღვანელ კონსტანტინე ანანიაშვილთან, გურიის რეგიონში სახელმწიფო რწმუნებულ გიორგი სახოკი-

ასთან და მაკორიტარ დებუტატ ვასილ ჩიგოგიძესთან ერთად ნორვეგიული კალმასის სალიფსიტე მუერნეობა „გურია ფიში“ დაათვალიერა. სალიფსიტე მუერნეობაში, რომელიც 1 500 000 ლარით, „მელაგათიანი აგროკრედიტის“ ფარგლებში დაფინანსდა, მთავრობის მეთაური წარმოების

აი, რატომ არ უნდა აიგოს ფერადი ლითონების ბაღამაშუაპეპელი ქარხანა ოჯურბეთში



26 იანვრის აქციაში გამომთქმული პროტესტის მიუხედავად, ოჯურბეთის მოსახლეობას, ჩვენი აზრით, ბოლომდე გათავისმებული არ აქვს ის მოსალოდნელი კა-

ტასტროვა, რაც შემოიღება მოკვამს ქალაქ ოჯურბეთში ფერადი ლითონების ბაღამაშუაპეპელი ქარხნის მშენებლობასა და ამომამდევას.



ალიონი

უძველესი გაზეთი უახლესი ინფორმაციებით!

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი.

ყოველკვირეული გამოშვება. № 3 (10374) 15 თებერვალი 2021 წ. ფასი 60 თეთრი.

ვასილ ჩიგოგიძე: „ასეთი პარტი მხარეში ასეთი ქარხანა რომორ უნდა აშენდეს?!“



„ბაღამაშუაპეპელი მოსახლეობას, მის ბეპრდითი პარ“...

ალიონი. გასულ პარასკევს, ოჯურბეთში, გურიის გუბერნატორის გიორგი სახოკიას წარდგინდა გურიის მაკორიტარი დებუტატი ვასილ ჩიგოგიძე ესწრებოდა. იგი დებუტატის ბიუროში გაზეთ „ალიონს“ შეხვდა და ქ. ოჯურბეთში ფერადი ლითონების ბაღამაშუაპეპელი ტოქსიკური საწარმოს აგების მიზანშეწონილობის შესახებ დასმულ კითხვებს უპასუხა:

– „აზურბაიჯანში ვიყავი და ვნახე, რა მდგომარეობაში იყო ერთ-ერთი ქალაქი ალუმინის ქარხნისაგან. ასეთი კარგი მხარე ასეთი ქარხანა როგორ უნდა აშენდეს. – თქვა 2020 წლის სექტემბერში ექაიდის მოსახლეობასთან შეხვედრისას საქართვე-

ლოს პარლამენტის იმპაინდელმა მაკორიტარი დებუტატობის კანდიდატმა **ვასილ ჩიგოგიძემ**.

– არავითარ შემთხვევაში, ასეთი ქარხნის აშენებაზე არ მეცემოთ თანხმობას – განაცხადა ოჯურბეთის მუნიციპალიტეტის მერმა **კონსტანტინე შარაშენიძემ**: (გაზეთი „ალიონი“, №25, 2020 წ.)

ვასილ ჩიგოგიძემ ამაკრადც მოსახლეობის მხარდაჭერა გამოხატა.

– თქვენი გაზეთის საშუალებით, მეგმართავ მოსახლეობას, თავიდან ბოლომდე მის გვერდით ვარ, რომ რაიმე არ გამოგეპაროს და შეცდომ არ ამ საკითხს ვეღვან მთავრეყვთ ყურადღებას – განაცხადა გაზეთ „ალიონთან“ **ვასილ ჩიგოგიძემ**.

ბიორბი ბახარია გურიის ახალი გუბერნატორი ბიორბი სახოკია წარადგინა

ალიონი. – გიორგი არის ერთ-ერთი საუკეთესო მენეჯერი ვინც მე შემხედრია საქართველოში, – მარტევილ და სწრაფად შემსრულებელი იმ ამოცანის, რომელიც შეიძლება ვიღაცას რთული მოეწინოს; ეს არ არის მარტო სიტყვები, ეს არის ერთობლივი მუშაობის გამოცდილება, რომელიც ჩვენ გვაკავშირებს, უკვე საკმაო პერიოდია, – ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა **გიორგი გახარია**მ გურიაში განაცხადა, სადაც სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციაში ადგილობრივ ხელისუფლებას რეგიონის ახალი სახელმწიფო რწმუნებელი **გიორგი სახოკია** და მთავრობის ადმინისტრაციის რეგიონული პოლიტიკისა და კოორდინაციის სამსახურის ხელმძღვანელი **კონსტანტინე ანანიაშვილი** წარუდგინა.

მთავრობის მეთაურმა სახი გაუსვა სახელმწიფო რწმუნებულის მაკორდინირებელ როლის ადგილობრივ და ცენტრალურ ხელისუფლებას შორის და აღნიშნა, რომ 2021 წელს ამას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება.

– „დარწმუნებული ვარ, აქ გიორგი სახოკიასთან ერთად მუშაობის არანაირი პრობლემა არ იქნება. დროის დაკარგვის რესურსი არ გვაქვს და არც მოხდება. მინდა, ერთი რამ გაითვალისწინოთ და ეს არის პრინციპული – გუბერნატორების, რწმუნებულების ძირითადი ფუნქცია იქნება სწორი კოორდინირება მთავრობასა და ადგილობრივ



ხელისუფლებას შორის. განსაკუთრებით 2021 წელს ეს კრიტიკულად მნიშვნელოვანი იქნება. პატიების და კომპრომისების რესურსი არც ამ მხარეს იქნება და არც იმ მხარეს. სერიოზული ეკონომიკური კრიზისისა, რომლიდანაც ნელ-ნელა უნდა გამოვიდეთ. განსაკუთრებით რეგიონებში ბევრად უფრო მძიმე იქნება სიტუაცია, ვერ ვაქცინაცია ნორმალურად ჩასატარებელი, მერე ეკონომიკა ამოსაქოქი, არჩევნება ჩასატარებელი და კიდევ ბევრი რამ არის გასაკუთრებული და ეს ყველაფერი სწორად უნდა იყოს კოორდინირებული“, – განაცხადა **გიორგი გახარია**.

მთავრობის მეთაურმა აღნიშნა, რომ რეგიონული პოლიტიკისა და კოორდინაციის სამსახურის მთავრობის ადმინისტრაციაში კონსტანტინე ანანიაშვილი უხელმძღვანე-

ლებს, რაც სწრაფი და ეფექტური გადაწყვეტილებების მიღებას შეუწყობს ხელს.

– „ჩათვალეთ, რომ ნებისმიერი პრობლემა, რომელიც შეიქმნება, გუბერნატორების საშუალებით ზუსტად 15 წუთში მეცოდინება, ამას მეტი დრო არ დასჭირდება. იქ, სადაც გადაწყვეტა იქნება მარტივი და სწრაფი, მიღებული იქნება სწრაფი გადაწყვეტილება. იქ, სადაც დრო და მსჯელობა იქნება საჭირო, ესეც გეცოდინება. სადაც გადაწყვეტილება, ამსაკვეთვი და გადავტარებოთ ეს ფურცელი, ამზე წვალებას თავი და ვანებოთ. მოკლედ, მარტივი ნაბიჯები და სწრაფი შედეგები. ეს არის ის, თუ როგორ უნდა ვიხლოვროთ 2021 წელს. ამიტომ ეს ადამანი, გიორგი სახოკია იქნება თქვენთან, კოტე ანანიაშვილი კი ჩათვალეთ, ჩემი ითახის გვერდზე

ზის,“ – განაცხადა პრემიერმა.

გიორგი გახარია აღნიშნა, რომ მეტი კოორდინაციის პროცესს ხელს შეუწყობს ის ფაქტი, რომ რეგიონული სხდომები ყოველკვირეულად გაიმართება.

– პრემიერ მინისტრმა დღეს წარდგინა გააკეთა. საუბარი იყო იმ ამოცანებზე, რომელიც პანდემიის და პოსტპანდემიის პერიოდში რეგიონის წინაშე დგას.

გურიას კარგად ვიცნობ, მისი განვითარების გეგმაზე ვმუშაობთ, სამინისტროებთან და სხვა უწყებების წარმომადგენლებთან ერთად, რომელსაც შეგვრებული სახით წარმოვადგენთ როგორც ადგილობრივ, ისე ცენტრალურ მდლასშუალებებს – მოკლე კომენტარი გააკეთა გურიის გუბერნატორმა **გიორგი სახოკიამ** ცენტრალურ და ადგილობრივ მდლასშუალებებთან.

გაზეთი „ალიონი“ სარეკლამო მომსახურების ტარიფები

- მე-2 მთლიანი გვერდის (648 კვ.სმ) ღირებულება 120 ლარია;
 - მე-3-7 (თითოეული 810 კვ.სმ) მთლიანი გვერდებისა - 150-150 ლარი;
 - 1-ლი, ფერადი გვერდი მთლიანად (810 კვ. სმ) არ იყიდება, ნახევარი გვერდის (405 კვ. მ) ღირებულება 300 ლარია;
 - ბოლო, მე-8, ფერადი გვერდი მთლიანად 300 ლარი ღირს;
 - შიდა შავთერ გვერდებზე ფერადი ბეჭდვის შემთხვევაში გვერდის საფასური 50 ლარით იზრდება.
 - პოლიტიკური რეკლამის ღირებულება ორმაგია;
 - მილოცვა ფერად გვერდზე 32,40 კვ. მ-ზე, სურათით - 25 ლარი;
 - სამგლოვიარო განცხადება - სიტყვა 25 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;
 - გახსენება, ნეკროლოგი - სიტყვა 20 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;
- საკალო ფასი: 60 თეთრი, ხელმოწერა:**
ერთი თვით - 2,40 ლარი,
სამი თვით - 7,20 ლარი,
6 თვით -14,40 ლარი,
ერთი წლით - 29,60 ლარი.

გაზეთში გამოქვეყნებული მასალების შინაარსი შეიძლება არ ემთხვეოდეს რედაქციის თვალსაზრისს. ავტორები თვითონ არიან პასუხისმგებელი ინფორმაციის სიზუსტეზე. რედაქციაში აუდიონაწარმოები ინახება ორი კვირის განმავლობაში, ამ ვადის გასვლის შემდეგ პრეტენზიები აღარ მიიღება. რედაქცია ავტორებისაგან არ მიიღებს სამ ხელნაწერ გვერდზე მეტ მასალას. გამოქვეყნებული მასალების გადაბეჭდვა აკრძალულია რედაქციიდან ნებართვის გაცემის გარეშე.

სარეკლამო კომპანია
 რედაქტორი
ნუგზარ ასათიანი
 nugzarasatiani15@gmail.com
 558 499100
 საინფორმაციო სამსახურის ხელმძღვანელი:
თემურ მარშანიშვილი
 tem52@mail.ru
 599 373515
 კომპიუტერული უზრუნველყოფა
გიორგი გოგოლაძე
 gia_77@mail.ru
 551 576060
 რედაქციის მისამართი: ქ. ოზურგეთი, გაბრიელ ებისკოპოსის ქ.№3
 ტელ: 558 499 100 გაზეთი რეგისტრირებულია ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში 18. 11. 2004 №44/4-311
 გაზეთი იბეჭდება გამოცემლობა

დაინყეთ ყოველი ოჩმაბათი აციონზე
 «ალიონით»

ბიორგი ბახარია – მოსწავლეების უსაფრთხოება და მათთვის ხარისხიან განათლებაზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა მთავრობის უმნიშვნელოვანესი პრიორიტეტი




საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გიორგი ბახარიამ ოზურგეთის სრულად რეაბილიტირებული პირველი საჯარო სკოლა და მის ტერიტორიაზე არსებული თანამედროვე ტექნოლოგიებისა და ინოვაციების ცენტრის შენობა დაათვალიერა, რომლის მშენებლობაც ცოტა ხნის წინ დასრულდა. პროექტის ფარგლებში, სრულად რეაბილიტირდა 1 000 მოსწავლეზე

გათვლილი საჯარო სკოლის ორი შენობა, შესაბამისად, დაწყებითი და საშუალო საფეხურის მოსწავლეები ცალ-ცალკე შენობებში განთავსდებიან. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის ადაპტირებულ შენობაში, სასწავლო ობიექტით აღჭურვილი ლაბორატორიები, ბიბლიოთეკა, სასადილო, სააქტივო და სპორტული დარბაზები

მოწყობილია. რაც შეეხება თანამედროვე ტექნოლოგიებისა და ინოვაციების ცენტრს, ერთსართულიან შენობაში ოთახები პანორამული ხედებითაა განლაგებული. შენობა მოიცავს საკონფერენციო დარბაზს, როგორც დახურულ, ისე ღია საშუალო სივრცეს, სასწავლო და კომპიუტერის ოთახებს, ტექნიკურ ოთახებს, მინი ფაბრიკის ლაბორატორიას და გამწვანებულ შიდა ეზოს. ინოვაციური ცენტრის ტერიტორიაზე ეწყობა სპორტული მოედანი. მთავრობის მეთაურმა აღნიშნა, რომ სკოლის ტერიტორიაზე ინოვაციების ცენტრის ამოქმედება ადგილობრივ ახალგაზრდებს სწავლასთან ერთად, თავისუფალი დროის გონივრულად გამოყენების და თანამედროვე ტექნოლოგიების დაუფლების საშუალებას მისცემს. სკოლის პედაგოგებთან და მოსწავლეებთან შეხვედრისას, მთავრობის მეთაურმა ხაზი გაუსვა სასწავლო პროცესის უსაფრთხოების ნორმებისა და რეკომენდაციების სრული დაცვით წარმართვის მნიშვნელობას, რათა მაქსიმალურად იყოს დაცული

როგორც მოსწავლეების, ისე მასწავლებლების ჯანმრთელობა. ამ მიზნით, ჯანდაცვის სამინისტროსთან ერთად შემუშავებული პროტოკოლის საფუძველზე, 2 კვირაში ერთხელ, მასწავლებელთა და სკოლის ადმინისტრაციული პერსონალის სულ მცირე 20%-ს სავალდებულო ტესტირება უტარდება. პრემიერ-მინისტრმა აღნიშნა, რომ მოსწავლეების უსაფრთხოების დაცვა და, ამავდროულად, მათთვის ხარისხიან განათლებაზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა საქართველოს მთავრობის უმნიშვნელოვანესი პრიორიტეტს წარმოადგენს. განათლების სფერო და საგანმანათლებლო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია საქართველოს მთავრობისთვის პრიორიტეტულია. ბოლო ორი წლის განმავლობაში გურიაში აშენდა 3 ახალი საჯარო სკოლა, მათ შორის 1 ლანჩხუთში, 2 ჩოხატაურში. მიმდინარეობს 4 ახალი საჯარო სკოლის მშენებლობა. რეაბილიტაცია ჩატარდა 16 საჯარო სკოლას, მიმდინარეობს 9 სკოლის შენობის რეაბილიტაცია.

დეპუტატ ვასილ ჩიგოგიძის ბიუროს ქმედებანი ვასაძე უხელმძღვანელებს



გურიის მაჟორიტარის ვასილ ჩიგოგიძის გადაწყვეტილებით დეპუტატის ოზურგეთის ბიუროს ქეთევან ვასაძე უხელმძღვანელებს. ქეთევან ვასაძე ამ დრომდე ოზურგეთში პარტია „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოს“ ახალგაზრდული ორგანიზაციის ხელმძღვანელი იყო. არის ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი.

ავარია ოზურგეთში



გასულ პარასკევს, ქ. ოზურგეთში, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული შენობის წინ, მოედანზე ერთმანეთს „მიცუბიში“ (ჯიპი) და „ოპელის“ მარკის ავტომობილები შეეჯახა. ავარიის შედეგად ტრამპმა მიიღო „ოპელის“ მძღოლმა, ახალგაზრდა მამაკაცმა, რომელიც „მედლაფას“ კლინიკაში გადაიყვანეს. ადგილზე იმყოფებოდა საპატრულო პოლიცია. მიმდინარეობს ავარიის მიზეზების დადგენა.



საპროტესტო აქცია სოფელ ოზურგეთში



ალიონი. გასულ პარასკევს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ოზურგეთში, ადგილობრივმა მოსახლეობამ ოზურგეთი-ჯუმათი-ჩიბათი-ლანჩხუთი გზის მონაკვეთი გადაკეტეს. მათ დაახლოებით ერთი საათის განმავლობაში ათეულობით მძიმეწონიანი ავტომანქანას არ მისცენ საშუალება გადაადგილებულიყვნენ, რომლებიც მდინარე სუფსის აუზიდან ქვიშა-ლორღს ეზიდებიან და ოზურგეთი-ლანჩხუთის დამაკავშირებელ გზას აზიანებენ. – ცენტრალურ გზას მძიმეწონიანი ავტომანქანები აზიანებენ, საუბნო გზები, („სვანების უბანი“) მძიმე მღვდომარეობაშია. როცა წვიმს, ქუჩაში ვერ გამოვიდვართ, ისე კი წვილის პრობლემა გვაქვს, არხები გასაწმენდა – განაცხადა ნატანების საჯარო სკოლის პედაგოგმა ნაია ქარდავამ. – ცენტრალურ გზაზე ვცხოვრობ. ნახეთ რა დღეა ჩემი სახლის კედლები ამ მძიმეწონიანი მანქანების გამო. სულ დამებზრა სახლი –უთხრა ვაზეთ „ალიონს“ ლაშვილი ვინჭარაძემ. აქციის მონაწილე, პედაგოგი ლუიზა მანქანაშვილი ჟურნალისტების მისვლას ერთ-ერთ ნაკვეთში ითხოვდა, სადაც არხია გაჭრილი და სოფლის დედა მიედინება. ჟურნალისტებს ოზურგეთის მერიც შეუერთდა. – რატომ მიედინება ეს წყალი ჩემს

ნაკვეთში. სოფლის გამგებელმა მოიყვანა ტრაქტორი და არხი გაჭრა. ყველგან მივალ, რომ ჩემი სიძარტლე დაგამტკიცო – აცხადებდა ლუიზა მანქანაშვილმა. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერი კონსტანტინე შარაშენიძე უხსნიდა მანქანათმშენებელს, რომ არხის ის ნაწილი, რომელიც ბუნებრივადაა გაჭრილი წყალი მიედინება, მუნიციპალიტეტის საკუთრებაა. ამჟამად მხოლოდ კალაპოტის გაწმენდა მოხდა. მომჩივნას არც აქციის მონაწილეები უჭერდნენ მხარს. – რაც თავი გვახსოვს, ეს დედას წყალი დაღმა მიედინება, თავის კალაპოტში. მერე უხვევს, გადის გზის ქვეშ წყალგამტარი მილით და მიუყვება კალაპოტს, რომელიც ქალაქთან მანქანაშვილის საკუთრებაში მყოფ ფართობს ესაზღვრება. წყალი სადაც ხომ გაივლის? პირდაპირ ხედავთ? ისევ ადმართი იწყება. უკან ვერ მაბრუნებ, იქაც ადმართია. ან როდის მომხდარა, წყალი ადამა წვიდეს? ჩვენ გზის გაკეთებას ვითხოვთ და არა ამას, – გვითხრეს აქციის მონაწილე ადგილობრივმა მცხოვრებლებმა. აქციის დაწყებიდან ერთ საათში ცენტრალურ გზაზე მძიმეწონიანი მანქანების მოძრაობა აღდგა.

აი, რატომ არ უნდა აიგოს ფერადი ლითონების გადაამუშავებელი ქარხანა ოჯურბეთში

მეამოთ მოყვანილი ორი ფაქტიც კი საკმარისია იმისთვის, რომ მოსახლეობამ, ადგილობრივმა ხელისუფლებამ, გარემოს დაცვის სამინისტრომ, ცენტრალურმა ხელისუფლებამ, თვით პრემიერმა და პრეზიდენტმა, ერთი სიტყვით, მართლმად სახელმწიფო უარი უთხრას ინდოელ ინვესტორებს და არ დაუშვან ოჯურბეთში გლობალურად საშიში გადაამუშავებელი საწარმოს აგება.

ბჰოპალის ტრაგედია

ბჰოპალის ტრაგედია, ინდოეთი 1984 წლის 3 დეკემბერი, ქალაქში მდებარე ქიმიური ქარხნიდან, სახელწოდებით "Union Carbide India Limited (UCIL)"

40 ტონა ტოქსიკური აირი, მეთილიზოციანატი (CH3NCO) გაიჟონა. სულ 500 000 ადამიანი მოიწამლა.

5 000-მდე ადამიანი პირველი 24 საათის განმავლობაში გარდაიცვალა, 20 000-ზე მეტი კი შემდეგ დღეებში გართულებების შედეგად დაიღუპა.

ამ კატასტროფის გამო დღესაც კი დაახლოებით 120 000 ადამიანი ჯერ კიდევ არის დაავადებული კბოთი, სიბრძნავით, სუნთქვითი გართულებებითა და ა.შ.

ვიდეოს სანახავად შედიეთ ბმულზე: <https://youtu.be/-Wear84-HR-JRI?t=8m13s>

20 წლის წინ ინდოეთში მოხდა სამრეწველო ავარია, რომელიც მსოფლიოში უდიდეს ქიმიურ კატასტროფად ითვლება. ლაპარაკია 1984 წლის 2 დეკემბრის მოვლენაზე.

როცა ადამიანისათვის მეტად სახიფათო მოწამვლელმა ნივთიერებამ - მეთილისიზოციანატის გაზმა - გაჟონა კონტეინერიდან ამერიკულ კომპანია „იუნინონ კაბაიდ კორპორეიშენის“ ბჰოპალის ქარხანაში და ძიებაში მოკლა ათასობით ადამიანი. ძი-



ლში იმიტომ, რომ ავარია ღამით მოხდა. თუმცა, ტრაგედია იმ დამეს არ დამთავრებულა.

1984 წლის 2 დეკემბრის დამეს ცენტრალური ინდოეთის ქალაქ ბჰოპალში 3 500-მდე ადამიანი დაიღუპა. მას შემდეგ დღემდე, 20 წლის მანძილზე, 15 000-ზე მეტი ადამიანი ასეთია ოფიციალური მჩვენებლები, რომელთაც ინდოეთის მთავრობა იძლევა. ამ დროს, ბჰოპალელების უფლებათა დამცველები ირწმუნებიან, რომ დაღუპულების რიცხვი სინამდვილეში თითქმის ორჯერ მეტია. ცნობილი „ამნესტი ინტერნეშენალი“, მაგალითად, 25 000-მდე მსხვერპლზე ლაპარაკობს. ლაპარაკია დაღუპულებზე, თორემ დაზარალებულების, ავარიის შედეგად დაავადებულების რიცხვი 800 000-ს აღწევს - და ეს ოფიციალური ინფორმაციით.

რას შეიძლება მოელოდნენ, ან რას უნდა მოითხოვდნენ ფირმისაგან, რომლის საქმიანობაც ასეთი კატასტროფის მიზეზი გახდა? ამ საკითხზე მოსაზრებებს გამოთქვამს ვიჯაი ნაგარაჯი, „ამნესტი ინტერნეშენალის“ მიერ ბჰოპალის კატასტროფის მე-20 წლისთავთან დაკავშირებით გამოქვეყნებული ანგარიშის ავტორი: [ვიჯაი ნაგარაჯის ხმა] „რაც შეეხება „იუნინონ კაბაიდს“, უნდა ჩამოვიდნენ და სას-

ამართლოს წინაშე პასუხი აგონ, უნდა გაწმინდონ მათი ქარხნით დაბინძურებული გარემო. სრული ანაზღაურება უნდა გადაუხადონ მსხვერპლს და გაავრცელონ სრული ინფორმაცია იმ დამეს გაჟონილი გაზის შემადგენლობაზე“.

კომპანია „იუნინონ კაბაიდის“ ვალდებულებებზე, ცხადია, ახლა არ ალაპარაკებულან. ამერიკულმა კომპანიამ და ინდოეთის მთავრობამ ჯერ კიდევ 1989 წელს გააფორმეს შეთანხმება, რომლის შესაბამისად, კომპანიამ გადაიხადა 470 მილიონი დოლარი - მსხვერპლის დასახმარებლად განკუთვნილი თანხა.

კომპანიამ, მართალია, გადაიხადა, მაგრამ ამ თანხის ნახევარზე მეტი (თითქმის ორი მესამედი) დღემდე არ არის მისული დანიშნულების ადგილამდე - ავარიის მსხვერპლამდე.

„პრაკაშ ჯაინის ხმა“ —რა კომპენსაციაც უნდა მივიღოთ, საკმარისი არ იქნება, რადგან ტრაგედია მეტისმეტად დიდი იყო. ადამიანები აქ ცოცხალი ლეშებივით არიან - ყველა რაღაცით ავადმყოფობს, ჩვენ არაფერი გვეშველება. ცოლის მკურნალობაში 200 000 რუპიაზე მეტი დამხარჯვა, კომპენსაციის სახით კი აქამდე სულ 25 000-მდე რუპია მომცეს, — ამბობს ბჰოპალის ავარიით დაზარალებული რამ პრაკაშ ჯაინი.

ის რომ არ აზვიადებს, ბჰოპალის მოსახლეობის მდგომარეობა რომ მართლაც ძალიან მძიმეა, აბდულ ჯაბარის სიტყვებითაც დასტურდება — ჯაბარია აქტივისტი, რომელიც ავარიის შედეგად მოწამლულებს ესმარება.

„აბდულ ჯაბარის ხმა“ — „ხალხი, უბრალოდ, იხოცება. ძალიან მძიმე მდგომარეობაშია. იხოცება არასწორი მკურნალობის გამო. დიავნოზი არ არსებობს, ექიმბაშები არიან გაბატონებული. ხალხს ფული არა აქვს. იმის გამო, რომ გაუთავებლად ავადმყოფობენ, წესიერად ვერც საქმე აკეთებენ.“

ამდენი უბედურების გამომწვევი ქარხანა, რომელშიც ერთ დროს პესტიციდებს ამზადებდნენ, წლების მანძილზე მიტოვებული და დაცარიელებულია. მაგრამ ეს არ ნიშნავს, თითქოს ბჰოპალისთვის საფრთხეს აღარ წარმოადგენდეს. ორგანიზაცია „გრინპისის“ ინფორმაციით, ქარხნის შენობაში მოხვედრა ძალიან ადვილია ღობის, დამცავი კედლისა და მცველების მიუხედავად. შენობის წინ გადაშლილ მინდვრებს კი საძოვრებად იყენებენ, არც ბავშვებს უშლიან იქ თამაშს.

არადა, ბრიტანელი ჟურნალისტი პოლ ვიკერსი, რომელსაც ავარიის მე-20 წლისთავთან დაკავშირებით მოუწია ბჰოპალში ჩასვლა, ირწმუნება, რომ ჰაერში ქიმიური ნივთიერებების სუნი დღაც და გაჩერებულ ქარხანასთან შეამჩნევთ დაჟანგულ კონტეინერებს, რომლებიდანაც ქიმიური ნივთიერებები ჟონავს რადიო „თავისუფლება“.

p.s. ბჰოპალი — მაღპია-პრადეშის შტატის დედაქალაქი და ბჰოპალის რაიონის ადმინისტრაციული ცენტრი. წარსულში იგი ყოფილი ბჰოპალის შტატის დედაქალაქი იყო. ბჰოპალი ცნობილია როგორც ტბების ქალაქი, მისი მრავალი ბუნებრივი თუ ხელოვნური ტბის გამო, ამავე დროს, ის ინდოეთის ერთ-ერთი ყველაზე მწვანე ქალაქი იყო.

ქალაქი საერთაშორისო ყურადღების ცენტრში მოექცა 1984 წლის 2-3 დეკემბრის ღამის ბჰოპალის კატასტროფის შემდეგ, როდესაც პესტიციდების საწარმო Union Carbide India Limited (UCIL)-დან მომწველელმა გაზმა, მათ შორის მეთილისიზოციანატმა გაჟონა. ეს შემთხვევა ინდუსტრიულიზაციის ისტორიაში ყველაზე საშინელია, რომელმაც ათასობით სიცოცხლე შეიწირა. ამის შემდეგ, ბჰოპალი პროტესტებისა და კამპანიების ცენტრად იქცა, რომელიც მომიტინგეებს მთელი მსოფლიოდან იზიდავს.

აიკის ალუმიინის ქარხნის ავარიის ავარიის

მასალა ვიკიპედიიდან — თავისუფალი ენციკლოპედია Jumpto navigation Jumptose arch

აიკის ალუმიინის ქარხნის ავარია (უნგრ. **Ajkai vorosiszap-katas-trofa**) — ეკოლოგიური კატასტროფა, რომელიც მოხდა 2010 წლის 4 ოქტომბერს უნგრეთში, ქალაქ აიკის ალუმიინის ქარხანაში, ბუდაპეშტიდან 160 კილომეტრში. აფეთქებამ დაანგრია კაშხალი და დაიღვარა ატომური ნარჩენი, წითელი ტლახა, რომლის საერთო რაოდენობა იყო 1,1 მლნმ? აფეთქების შედეგად დაიბლორა უნგრეთის სამი მედიეს ტერიტორია (ვესპრემი, ვაში და დიორ-მოშონ-შოპრონი). უბედურების ზონაში უნგრეთის მთავრობამ საგანგებო მდგომარეობა გამოაცხადა. 5 ნოემბრის მონაცემებით, დაღუპული იყო 10 ადამიანი. დაზარალებულთა საერთო რაოდენობამ 140-ს გადააჭარბა.

დამეთანხმებით, ალბათ, რომ ორივე იმდენად უმამარწმუნებელი ფაქტები, მძიმესაც კი არ ვუსურვებთ ასეთ ყოფაში მოქცევას. აი, ამიტომ არ უნდა აიგოს ოჯურბეთში ფერადი ლითონების გადაამუშავებელი ქარხანა!

მეაღიარებ ფიჭვოვანი ხეები კვლავ მოჭრეს



10 თებერვალს ექაღიაზე, წმინდა გიორგის ქუჩის დასაწყისში 5 ძირი კედარი მოჭრეს. როგორც ოჯურბეთის მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენელმა გვითხრა, წიწვოვანი კორომის კონკრეტული მონაკვეთი კერძო საკუთრებაა, მოჭრის ნებართვა მისცეს და შესაბამისად მოჭრა ხეები.

როგორც ვიცით, ექაღიის აბანოს შენობა 3 ათეული წლის

წინ ბიზნესმენმა ზურაბ მორჩილაძემ სარგებლობდა, ხოლო 2005 წელს შეისყიდა, საგარაუდოდ შპს „ექაღისაგან“. 2019 წლის 20 სექტემბერიდან მას ახალი მფლობელი ჰყავს — არჩილ კვერელიძე. აბანოს შენობის ფართი 70 კვადრატული მეტრია, ხოლო მიმდებარე არასასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთის ფართი — 801 კვადრატული

მეტრია.

ხეების მოჭრას ადგილობრივი მოსახლეობა აპროტესტებს.

—რა დაშავა ექაღიამ. აქეთ ფერადი ლითონების ტიქსიკური საწარმოს აგებას გვიპირებენ, რამდენიმე თვის წინ უნივერსიტეტის ქუჩის დასაწყისში მოჭრეს წიწვოვანი ნარგავები. 40 წლის წინ დაგებული ტროტუარი გადათხარეს (მერამდენედ) კაბელები ჩადეს და ქვები დაგვიყარეს. არ ვიმოდრაოთ, არ ვისუნთქოთ? — გვიოხრებს ექაღიელებმა კმ და ვ. მ-მ.

—როგორ ვუვლიდით და ველოლიავებოდით კედრების ამ საოცარ კორომს. რომელიც არა მარტო ამ უბნის, არამედ ჩვენი ქალაქის მშვეენებაა. ვინ იძლევა ასეთ ნებართვებს, ვინ ყიდის ქალაქის მწვანე ნარგავებს, იქნებ გვიპასუხოს ხელისუფლებამ — გვითხრა ცნობილმა იურისტმა ცარო სურგულაძემ.

ოჯურბეთის მუნიციპალიტეტის სამართლებრივი უზრუნვე-

ლყოფისა და ზედამხედველობის სამსახურის უფროსის მიხეილ შილაკაძის თქმით, მათ ხეების მოჭრის შემდეგ გაიგეს კონკრეტული ფაქტის შესახებ. ტერიტორია კერძო საკუთრებაა, ამდენად მესაკუთრეს წინასწარ მათთვის არ მიუძარათავს. ადგილზე იმყოფებოდა ოჯურბეთის მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენლები და თუ აღმოჩნდა, ხეები



კვერელიძის საკუთრებაში მყოფ ტერიტორიაზე არაა მოჭრილი, გატარდება კანონით გათვალისწინებული ღონისძიებები.

p.s. 2020 წლის ოქტომბრის დასაწყისში, ექაღიაზე, უნივერსიტეტის ქუჩის დასაწყისში შპს „მამულქმა“ 9 ძირი ჯანმთელი კედარი მოჭრა. აღნიშნულ ფაქტს საზოგადოების დიდი პროტესტი მოჰყვა.

გურულ მოჯირითეთა უცნობი დეტალები

პირილი ჯორბენაძე – „ამერიკის საკონსულოს გამგებელი“



მე-19 საუკუნის ბოლოსა და მე-20 საუკუნის დასაწყისში მთელი გურია მოიცავდა საზღვარგარეთ გამგზავრების სურვილმაროგორც გამოირკვა გურული მოჯირითეები ძმები, ბიძაშვილები და ერთმანეთის ახლო ნათესავები იყვნენ, ესენი ცნობილი გვარებია: მასარაძეები, კა-ლანდარიშვილები, ანთაძეები, მგალობ-ლიშვილები, ზაქარეიშვილები და მრავალი სხვა.

მათ შთამომავლობას გადმოცე-მით ახსოვთ წინაპართა საოცარი თავგადასავლები, გვიჩვენებენ ფერ-გადადასულ, მაგრამ მრავლისმეტყვე-ელ სურათებს, სასწაულებრივად, რომ გადაურჩნენ ყაძმა სვლას, წინათ აკრძალულ თემებს, დღეს სიამაყით გვიამბობენ, თუმცა სი-მართლემ მათ შესახებ მარცვალ-მარცვალ შესაკრება, რადგან მათი თავგადასავლები საუკუნეზე მეტ ხანს ითვლიან.

გურულ მოჯირითეთა შვილები თითქმის ცოცხლები აღარ არიან, გამონაკლისს წარმოადგენდა ზეკია ჯორბენაძე (რომელიც მე 5-6 წლის წინათ ვნახე, თავის სახლში ჩინათში) – ლაზარე ჯორბენაძის ქალიშვილი და კირილე ჯორბენ-აძის ძმისშვილი.

განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს **კირილე ჯორბენაძის** პი-ოვნება. მის სახელთანაა დაკავში-რებული გურული მოჯირითეების ასპარეზზე გასვლის დასაწყისი. მის უშუალო მონაწილეობით ხდე-ბოდა გურულ მოჯირითეთა შე-რჩევა, რეკომენდაციების მიცემა და საზღვარგარეთ გამგზავრება. მისი ახლობლები მას ანტრეპრენიორ-ადაც (კერძო სანახაობათა დაწე-სებულების მფლობელი, მეჩვეური) იხსენიებდნენ. დღემდე არსებული ლიტერატურა კი- ინგლისის კონ-სულის ხელზე მოსამსახურე ბი-ჭად. ამავე ვერსიას იზიარებს საქართველოში აკადემიკოს ამირან ცამციშვილის შემდეგ ერთადერთი ფუნდამენტური მკვლევარი კინერეჟ-ისორი, მწერალი ბატონი **ირაკლი მანარაძე**.

„იმ ვერსიით, რომელიც აკად-ემიკოსმა ამირან ცამციშვილმა პირადად მხედრებისაგან ჩაიწერა, მათი უცხოეთში წაყვანა ასე მოხდა: მოჯირითეების შესარჩევად ბათუმში ჩამოვიდა ამერიკელი ცირკის წარმომადგენელი თომას ოლივერი (1867-1943). იგი ამერ-იკის კონსულთან, ჯეიმს ჩემბ-ერთან დაბანაკდა. კონსულთან იბ-ხანად მოჯირითეებს იდგა ზემო-ჩინათელი ჯორბენაძე, იგი გურ-ული ნაყმების ოჯახში იყო დაბაღე-ბული, ბათუმს საარსებო წყაროს გამოსანახად ეწვია. ჯორბენაძემ გა-

ივო საქმის ვითარება, თანხმობა რომ მიიღო, ოლივერს, ცხენოს-ნების შვერვებაში დახმარებოდა ოლივერთან და ვიცე კონსულ-პარი ბრივსთან ერთად ლანჩხ-უთს მიაშურა, გზაზე კი სოფელ ბახვში მთელ გურიაში ცხენოსნობაში განთქმულ ივანე (დიდი) როსტომის ძე მასარაძის მეტსახელად „მათ-რახას“ ოჯახში შეიარეს და მას მოელაპარაკენ. გადაწყდა, რომ ივ-ანე გურდს შეკრება აქედან დაი-წყო გურული მოჯირითეების მრავ-ალწლიანი საზღვარგარე-თული ტურნე“. (ი.მანარაძე, ა.ჩხაიძე „უაილდ უესისის მხედრები“, გვ.9).

ამასვე ადასტურებს გავით **„ივერიაში“** (1892 წელი, 124) დაბეჭდილი სტატია: „ამ ორი თვის წინათ ბათუმის კონსულთან საზ-ღვარგარეთიდან მოვიდა მდიდარი კაცი, რომელსაც ჩვენში „ინგლი-სის თავადს“ უწოდებენ, ამ სტუ-მარს კონსულთან მყოფი გურ-ული, გრძელი სამოსით მორთული „სილალიანად“ ძლიერ მოეწონა. მდიდარმა სთხოვა ამ ბიჭს „თორ-რმეტი შენისთანა გამოწყობილი მოთამაშე მიშოვე და თვეში გაუ-ჩენ ყოველთვის ჩემი ხარჯით 50 მანეთს და წაყვივან ჩვენს ქვეყანაში, ექვსი თვის შემდეგ, ის-ვე ჩემი ხარჯით, აქვე მოვიყ-ვანო“.

ქალბატონი **ზეკია ჯორბენაძე** გვიამბობს: „ზემოჩინათელ ჯორბ-ენაძეებს სწავლულ კლებებს უწ-ოდებდნენ. ოჯახში, სადაც მე ვცხო-ვრობ, ხუთი თაობა აღიზრდა, თავდაპირველად ხუთივე ძმა – ივ-ანე, ბესარიონი, კირილე, იოსები და ლაზარე ერთად ცხოვრებდნენ, რძლებიც ერთმანეთთან შეთანხმე-ბული იყვნენ და ოჯახშიც საქმეებს მორიგეობით აკეთებდნენ, როგორც ეს ძველად გურიაში გაყოფილ ოჯახებში იყო მიღებული. შემდეგ ბესარიონი და იოსები დასახლდნენ ქვემო ჩინათში. კირილე გადავიდა ბათუმში საცხოვრებლად. ცხენზე ჯირითი და ცეკვა-თამაში ხუთივე ძმამ კარვად იცოდა. განსაკ-უთრებით რთული ილეთების შესრ-ულებით გამოირჩეოდა ივანე და ლაზარე ლაზარე აკეთებდა თავყ-ირას-უნავირზე ხელებით დგომას, ივანე კი იდგა უნავირზე და ხმლებს ათამაშებდა.

მოჯირითეები, ძმები ამერიკაში წასვლამდე, ვარჯიშობდნენ ლუკა ჩხარტიშვილის ეზოში. წასვლის მსურველი ძალიან ბევრი იყო -18-25 წლის ჭაბუკები, რომელთა მიზანი, როგორც აღნიშნავენ, იყო სარფი და ამასთან თავის გამოჩ-ენაც, საზღვარგარეთიდან დაბრუნე-ბულები ჰყვებოდნენ თავგადასავ-

ლებს, რაც კიდევ უფრო ზრდიდა წამსვლელთა ინტერესს. ლანჩხუ-თელები თხოვნით მიმართავდნენ ლუკა ჩხარტიშვილს, ჩაეწერა ისინი თავის გუნდში“.

აღნიშნულის შესახებ ყოვე-ლკვირეული ნახატებიანი გავითი **„აკვლი“** 1897 წლის 9 მარტის ნომერში აქვეყნებდა პუბლიკაციას: „ავერ ხუთი-ექვსი წელიწადია, რაც ერთი გურულის ლუკა ჩხარ-ტიშვილის წინამძღოლობით, ყო-ველ წელს 8-9 კაცი მიემგზავრება გურიიდან ჩიკაგოში, ნიუ-იორკში გამოფენაზე. ბატონ ჩხარტიშვილს ისეთი კაცები მიჰყავს, რომლებიც სიმღერა, ცეკვა და განსაკუთრებით ცხენზე თამაში იციან. თვითონ ჩხარტიშვილი ცხენზე თამაშობაში ისეა დახელოვნებული, რომ ვერც ერთი ცირკის მოთამაშე ვერ შე-დრება და ყველას უკვირს, ამ სოფლად ამგვარი ცხენზე თამაში როგორ შეისწავლა ამ კაცმაო. უცხოელებმა მას მიაჩნდეს მეთაუ-რობა და დაავალეს ყოველწე-ლით ამოურჩია 8 კარგი მოთამაშე ბიჭი გამოფენაზე სათამაშოდ. ამ ამბავმა ყველა სოფლის ბიჭი ფეხზე დააყენა, ყველამ მოინდომა წაყოლოდა, მაგრამ ეს ხომ შე-უძლებელი იყო. მას მარტო 8 კაცი ჭირდებოდა. ამ 5-6 წელიწადში ჩხარტიშვილმა 50-მდე სხვადა-სხვა კაცი წაიყვანა უცხოეთში და შესანიშნავი ქალაქები დაატოვა“.

ლაზარე ჯორბენაძის მოგონე-ბიდან: „მორიგი გამგზავრების წინ ლუკამ თავისი ოდის უკან ეზო გასუფთავა და სავარჯიშო მოე-დანი მოაწყო, რომელსაც მინ-გრეულას ეძახდნენ. ამ პატარა მო-ედანზე ათიოდე მხედარი ყოველ-დღე ვარჯიშობდა“ (ი.მანარა-ძე „უაილდ უესისის მხედრე-ბი“, გვ.32). მაშინდელი ეს „პატარა მოედანი“ არც ისე პატარა უნდა ყოფილიყო, რადგან დღეს ამ ადგი-ლას შვიდი ოჯახი ცხოვრობს (მ.ლ.). ლუკა ჩხარტიშვილის რძა-ლმა ნადა ხოფერიამ მიაბმო: „ლუკას ეზოში იდგა დიდი მსხ-ლის ხე, სადაც იკრიბებოდნენ ლა-ნჩხუთელი მოჯირითეები და საუ-ბრობდნენ საზღვარგარეთ გამგზავ-რების გეგმებზე, ძმები ჯორბენა-ძეებიც მათთან ხშირად იყვნენ“.

ივანე და ლაზარე ჯორბენ-აძეები წარმატებით გამოდიოდნენ ცნობილი ბავალო ბილის უაილდ უესტის ცნობილ შოუში. დაფიქ-სირებულია მათი მონაწილეობა 1902 და 1905 წლების შოუში, თუმცა, როგორც მათი ოჯახის წევრები ამბობენ, ისინი რამდენ-ჯერმე იყვნენ ნამყოფი ამერიკა-ში. ოჯახს დღემდე შემონახული აქვს ლაზარეს მიერ ჩამოტანილი სხვადასხვა ნივთი, რომელსაც, როგორც რელიკვიას, ისე ურთხ-ილდებოდა.

მესამე ძმა კირილე ჯორბენაძე 1887 წელს ბათუმში ჩამოიყვანა ცნობილი ტყის მრეწველმა კომერ-სანტმა სპირიდონ გურგენიძემ. ამავე წლიდან იგი ამერიკის კონ-სულის კამერდინერია.

ალეკო ჯორბენაძე - კირილე ჯორბენაძის შვილიშვილი სათუად ინახავს დიდი წინაპრის ყველა ნივთს თუ დოკუმენტს, მისი თქმ-ით, კირილე იმდენად კარგი მუსიკი ყოფილა, რომ მას „ამერიკის საკონ-სულოს გამგებელს“ ეძახდნენო. ალკოს შესახული აქვს მოწმობა, გაცემული კონსულ ჯონი ჩემბერ-სის მიერ შედგენილი რუსულ ენაზე: „მიეცა ეს ჩემ მიერ ოზურგეთის მაზრის ჩინათის საზო-

გალობის მცხოვრებს კირილე მა-ქსიმეს ძე ჯორბენაძეს მასზედ, რომ ის იყო ჩემთან სამსახურში კამერდინერის თანამდებობაზე რვა წლის განმავლობაში. იგი კეთილს-ინდისიერად ასრულებდა თავის მო-ვალეობას, არ იყო შემწეული რა-იმე ცუდ საქმიანობაში, იყო წყნარი და ყუდადლებანი. იგი განთავის-უფლდა ჩემ მიერ თავისი განცხ-ადებით. ეს მოწმობა ეძლევა ჩემ მიერ მის მოწმობაზე, რასაც ვა-მოწმებ ნოემბრის პირველ დღეს 1895 წ.

ქ. ბათუმი, **ჯონი ჩემბერსი**, ამერიკის კონსული. ამერიკის საკონსულოში მუშა-ობის დროს კირილე გავლენიანი და შეძლებული კაცი ჩანს. **ალეკო ჯორბენაძე** მოგვითხრობს: „კირ-ილემ 1901 წელს ჯვარი დაიწერა თამარ ჭყონიაზე, თამარის ძამა გლახუნა გურიელის კარზე მღვდელი ყოფილა გლახუნას ორი ქალიშვილი ჭყონია – თამარი და ფაცია. თა-მარს ნადირობა ჰყვარე-ბია მიმინ-ოთი, მას ჭყონია ლამაზი თეთრი მიმინო, შუბლზე შავი კობით. ერთხელ, ნადირობისას, გურიელს დაუნახია მიმინო, მოსწონებია და შეუთვლია, დამითქო, მიმინო გურიელისთვის მიურთმევა გლახუნას. მადლობის ნიშნად გურიელს ერთი ხარ-ურეში და რაც ზედ დაეტეოდა, სურსათ-სანოვანე უბო-ძებია. კირ-ილე თხოვნით მისულა გლა-ხუნასთან, შენი ქალი მომა-თხოვეო. გლახუნას გურიე-ლისთვის უთქვამს შენი ყმა ჩემი ქალიშვილის ხელს მთხოვსო, გურიელს უპასუხნია: ჩემო გლახუნა ძაგი ყმა შენს გვლობია და მეცო. ამ დროისათვის კირილეს ბათუმში საკუთარი ბიზნესიც ჰქო-ნდა და თანამდებობაც“.

კირილეს ახლო ურთიერთობა ჰქონია კონსულთან. ამ „ხელზე მოსამსახურე ბიჭმა“ იმდენი იშრომა, „საკუთარი ბიზ-ნესი წამოიწყო, რაზეც რეკომენდა-ცია მისცა და დახმარება – საწყისი კაპიტალი თვით კონსულ-მა ჩაუღო. კირილეს გაუსწნია რესტორანი „ფლორიდა“ (ხისგან აშენებული). ამ რესტორნისათვის კონსულმა ბათუმიდან წასვლის შემდეგ კირილეს დაუტოვა საკო-ნსულოს კუთვნილი სერვიზი 50 პერსონაზე. დამზადებული დანაკოვმი ქარხანაში (სერვიზი მანომრლია, რაც მიგვანიშნებს მის ორიგინალურობაზე), ნაწილი ამ სერვიზისა დღესაც ინახება ჯო-რბენაძეების ოჯახში.

კირილე ყოფილა მეწილე სა-სტუმრო „ლონდონისა“ ბათუმში და ფლობდა მიწის ფართობებს არდაგანში (ბათუმთან ახლოს იდგა არდაგანის სამხედრო პო-ლიკის ნაწილი. ამიტომ ამ ადგილს არდაგანს უწოდებდნენ მ.ლ.).

ამერიკის კონსულთან კირილეს ახლო ურთიერთობას ის ფაქტიც ადასტურებს, რომ ამერიკაში გამგ-ზავრების შემდეგ, კონსულს მისი პატარა ვაჟი დასასვენებლად ბათუმში კირილესთან გამოუგზავ-ნია. რამდენიმე ხნის შემდეგ კირ-ილეს თეთრი ჩოხა შეუკვარავს ბავშვისთვის და უკან გაუგზავრე-ბია. მოგვიანებით კონსულის ვაჟი ჩამოღის საბჭოთა კავშირის მოწ-ვევით ვოლგა-დონის არხის მშე-ნებლობაზე. იგი იმავე წელს ჩამ-ოღის ბათუმში კირილესა და მისი ოჯახის მოსანახულებლად.


იმ დროისათვის საკმაოდ შეძლებული კირილე ჯორბენაძე,

თვით ჯირითის დიდი ტრფიალი, ცხოველ ინტერესს იჩენდა მისი თანამომემების მიმართაც, რასაც ადასტურებს მისი ფოტო, გადაღე-ბული 1903 წელს ჩიკაგოში მიმავალ გურული მოჯირითეების მერე ვეგუთან.

თავდაპირველად კირილე ბათ-უმში, აზიხეს მოედანზე, ნაქირავე ბინაში ცხოვრობდა, შემდეგ ბებიუ-თოვის მოედანზე იყდა ხუთოთ-ახინი ბინა კერძო ეზოთი, მაგრამ მისი მდგომარეობა მკვეთრად შე-იცვალა ხელისუფლებაში კომუნის-ტების მოსვლის შემდგომ. 1922 წელს მას ჩამოართვეს ქონება, მიწა-მამული, ამას დაემატა ქალი-შვილის -18 წლის შუშანას გარ-დაცვალება, რის გამოც მოუვიდა ინსულტი, 15 წელი ავაადყოფა და 1938 წელს 69 წლის ასაკში გარ-დაიცვალა.

როგორც ბატონმა ალექო გვითხრა. კირილეს და თამროს ჰყავდათ ოთხი შვილი: ბალე-ნტინა, შუშანა, დავითი და კარლო. დავითი ოციან წლებში წავიდა საზღვარგარეთ, ჯერ სტამბოლში, იქედან კი – გერმანიაში. დაამთავრა ბერლინის უნივერსიტეტი. იყო ქიმიის მეცნიერებათა დოქტორი, გასული საუკუნის 40-იან წლებში მუშაობდა ხელოვნური კვარცის მი-ღებაზე. მიღებული კვარცის პი-რველი ეგზემპლარი ინახებოდა მისი მეგობრის და კოლეგის ოჯა-ხში. ეს ნიმუში გადაეცა 80-იან წლებში გერმანიაში მივლინებით მყოფ დავითის ძმიშვილს სიმონ ჯორბენაძეს. დავითი უცოლშვილოდ გარდაიცვალა ლაიფციგში. გვია

კარლოს ვაჟი ალექო ჯო-რბენაძე ინტერვიუს ჩასერის დროს მუშაობდა ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში ფიზიკური აღზ-რდის კათედრის გამგედ. იგი



ოჯახთან და დასთან ერთად ცხოვ-რობს ბაბუის დანატოვარი სახლის ადგილას აშენებული მრავალსართ-ულანი ბინის ერთ-ერთ სართ-ულზე და სიაშიტებებით იკვლევს სახელოვანი ბაბუის და ჯო-რბენაძეების ისტორიას.

მიუხედავად გარდასულ წელთა სიმრავლისა, მაინც შევძელით დავ-ვედინა, რომ კირილე ჯორბენაძე იყო ის უპირველესი მოჯირითე, რომელიც „სილალიანად“ ძლიერ მოეწონა ბათუმში ჩამოსული უცხო-ელი აგენტს „შემდგომში კი, უკვე საკმაოდ გავლენიანი პიროვნება და წარმატებული ბიზნესმენი, ყვე-ლანაირად ეხმარებოდა გურულ მოჯირითეებს.

მანანა ლომაძე, ოზურგეთის სამუხეუმო გაერთიანების ფონდების მთავარი მცველი.

ნასაკირალის პრიმინალური ქრონიკა

მამუკა გოგუაძე

დასაწყისი იხ ვაზ. „ალიონი“ №№ 34, 35, 36 2020 წ. №№1, 2, 2021 წ



„თქვენ მიერ გამოგზავნილ საიდუმლო წერილზე გაცნობებთ, რომ ვერა ნიკოლოზის ასული პანფილოვა, იგივე ირინა ეგვინის ასული რომანოვა და იგივე ლულმდლა ნიკოლოზის ასული სტარცევა დაიბადა 1939 წლის 14 სექტემბერს, ქ. როსტოვში. 1956 წელს ვერცხლის მდელზე დაამთავრა ქ. როსტოვის 75-ე საშუალო სკოლა. იმავე წელს ჩაირიცხა მოსკოვის ლომონოსოვის სახელობის უნივერსიტეტში მათემატიკის ფაკულტეტზე, საიდანაც გარიცხეს 1959 წელს. არის შუღლი. სწავლის პერიოდში, ხშირად ეთამაშებოდა და უკანასკნელ კაპიკებს სძალავდა სტუდენტებს, რისთვისაც არაერთხელ მიეცა გაფრთხილება. ამის გამო ინსტიტუტიდან გარიცხეს კიდევ. შემწეული იყო შვს სამყაროსთან ურთიერთობაში. 1961 წელს წერილობითი ქურდობისთვის მიეცა პასუხისმგებლობა და მიესაჯა 1 წელი. 1962 წლის დეკემბერში ჩამოვიდა როსტოვში. ამ პერიოდში გაიქურდა საიუველირო ტანსაცმლის მძაზვები. ამ საქმისთან დაკავშირებით, არის ეჭვიმტანილი. ამჟამად ძებნაშია. მას პარტნიორობას უწყევს მისი სკოლის ამხანაგი ლუბა ბორისის ასული როზანცევა. გიგზავნით სურათებს. იქნებ თქვენი თვალთახედვის არეალში მოხვდეს.“

პატივისცემით, ვლადიმერ ვალერის ძე ფედოტოვი, რუსეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს როსტოვის ოლქის შსს-ს უფროსი.“

– ეს ქალი ბაკურაძე დასასვენებლად არ ყოფილა ჩამოსული და, როგორც ვაჭყვბ, არც ოვანესის ლოგინში საკონტრაქტოდა. – არც მეორე, რომლის შესახებ, სამწუხაროდ, არაფერი ვიცით. საქმე ისაა, რომ არავისთან კონტაქტობდნენ. – არ იქნება მასე. ხომ საუბრობდნენ, ცეცხლს ხომ ანთებდნენ, ჭაბდნენ, სახლს ხომ ასუფთავებდნენ თოვლისგან, ე. ი. ვიღაც, ან ვიღაცები ესმარებოდნენ. ლოგიკურად ხომ ასეა? ამიტომ შენი ბიჭები აამუშავე. დაიკითხოს ყველა, ვინც ოვანესთან დადიოდა, უყურადღებოდ არ დატოვოთ არც ერთი წერილმანი. – ბაკურაძის რა ვქნათ? – თამაზ, გული მიგრძობს, რომ ბაკურაძის ამ საქმესთან დაკავშირებით ტყუილად წავალთ. ასეთი ბიოგრაფიის ქალი ბაკურაძეში წავიდოდა? – მეც მასე ვფიქრობ, მაგრამ იმათ რა იციან, რა მოხდა აქ? ოვანესი ბაკურაძეში ხომ არ აკითხავდა, კაცი მოკვდი და სასწრაფოდ აითესეთ? – ერთი დღის ამბავია, წავიდე და კოლეგებს შევხვდეთ, მაგრამ მაგათი

გზა უფრო სხვაგან უნდა მიდიოდა. ამაზე ვიფიქრობ ამ სადამოს. – ?? – უკვე 100%-ით ვარ დარწმუნებული, რომ ისინი უფრო აჭარის მალალმთიანეთისკენ იქნებიან წასვლები. – მგონი, მივიხვდი, მამუკა. – ვიფიქროთ. გაეღიმა პროკურორს. მიხვდა, რომ მილიციის უფროსმა გაუგო გულისნადები. – მამუკა, კი, მაგრამ ამ დიდთოვლობის დროს, იქ ასეა როგორ იქნება? – როგორც ბაკურაძეში, რუსი ტურისტები ჩამოვიდნენ მთიანი მხარის მოსახლეობლად. მაგათ რუკაც ექნებათ. ჯერ არავინ უთვალთვალეს, ის კი არ იციან, რომ მათი დოსიე აგერ დევს. – ეეჰ, ეტყობა, წინათგრძნობა ჰქონდა ჟღერტს. – გადავლოთ ბაკურაძის და აჭარაში წავიდეოთ. – როდის გავდივართ? – მოვემზადდეთ, დავალაგოთ ყველაფერი, რაც უნდა გავუზიაროთ კოლეგებს, თანამშრომლებს დავალაგებოთ მივცეთ, დავერეკოთ ხელში კოლეგებთან თუ იქნებიან ადგილზე და მასზეც, დილის 8 საათზე გავიდეთ. მანამდე მძლოლმა მანქანა შეამოწმოს. ამის სიდიხემ ხომ შემიკლა ხელში, – გაიფიქრა მილიციის უფროსმა, მაგრამ იქვე მოიშორა ეს ფიქრი, – რაც თქვა, ყველაფერი ხომ ნამდვილად გასაკეთებელია? ადგა, დაემშვიდობა მეგობარს და მილიციის შენობაში გადავიდა... პროკურორმა საათს დახედა, ათი სრულდებოდა, ყოყმანობდა, დაერეკა თუ არა პირველი მდივანისთვის... – ზურაბ ალექსანდროვიც! – გისმენ, მამუკა. მოკლედ მოგვა ყველაფერი. – თქვენნი იმედი მაქვს. ვიცი, საქმეს თავს გართმევთ... – უთხრა პირველმა მდივანმა. კიდევ ერთხელ გადაზარმა გონებაში ყველაფერი, ფურცელზე ჩამოწერა ხვალისდელ საშუაოს გეგმის მონახაზი, ჩაიცვა, კარები დაკეტა და გარეთ გამოვიდა. მივიდა მის სამსახურებრივ „პობედასთან“, კარი გააღო, ჩაჯდა და მძლოლს უთხრა: – სახლში წამიყვანე, კოკი. – ასე ადრე? – გაუკვირდა მძლოლს, რომელიც მამუკა გოგუას პროკურორად დანიშნის დღიდან მასთან მუშაობს. კოკის სამსახური სისხამ დილით იწყება, როცა პროკურორი სამსახურში მიჰყავს და გვიან მთავრდება, როცა უფროსი სამსახურიდან მოჰყავს. ამ შვიდი წლის მანძილზე ასე ადრე არასდროს წაუყვანი სახლში.

... – სოსო შემოვიდეს. – შემოვლაზე იყო გუშინ და მოგვიანებით მოვა. – როცა მოვა, სასწრაფო საქმე მაქვს. სოსო გულდღეადა სამეგრელოში დაბადებული და იმერეთში გაზრდილი კაცი იყო. საშუალო სკოლა იმერეთში დაამთავრა, საგლდებულო სამხედრო სამსახურის მოხდის შემდეგ კი, გურიაში დასახლდა და მილიციაში რიგითად დაიწყო მუშაობა. ალლოიანი უშიშარი ოპერი გა-მოლგა, რომელიც არად ავლდება ავტორიტეტებს და ისინიც უფრთხოდნენ მას. – სოსო, ჯერ წერილი როსტოვიდან, აგერ სურათები, აგერ დოსიე ამ ქალებზე. ტყუილდებოდა არ ჩამოვიდოდნენ აქ. აბა, შენ იცი. დავაზუსტოთ ვინ დადიოდა მარტიკიანთან ხშირად, ვინც დადიოდა – რატომ? თუ ეჭვი შეგეპარება, იცი, რაც უნდა გააკეთო. ერთ-ერთ ქალს საიუველირო მძაზვია აქვს გატანილი და ძებნაშია, ეს მეორე მისი „დადღლნიკი“ უნდა იყოს. ეს მოქმედების ჩონჩხია, ხორცი შენ უნდა შეასხა. დრო რამდენი გინდა? – რამდენი მაქვს? – ხომ იცი პროკურატურის ამბავი, ხვალისდან დაიწყება ნელა ირჯეობანი ოპერებით და... – ეტაპობრივად ყველას დაკითხავენ. თუ საეჭვო იქნება ვინმე, ჯერ შევითანხმებ და... – მაგარი ხარ, სოსო. – არ დაამთავრებინა მილიციის უფროსმა. მიხვდა, რაც უნდა ეთქვა სამძებროს უფროსს. – თამაზ ვახტანგოვიჩი, საქმეც გაისხნება, დამნაშავეც დაიხვეება, მაგრამ მადლობას თქვენ გეტყვიან, ჩვენი შრომა მაინც დაუფასებელი დარჩება. – დაიწყო ისევ ხომ! პირობას გაძლეე სიურპრიზს მოგიზადებ ისეთს, არც დაგეხიზმრება. – ვნახოთ. ერთმანეთს ხელი ჩამოართვეს და ათ დღეზე შეთანხმდნენ. თებერვლის თბილი ამინდია. თოვლი ხეებიდან ნელ-ნელა ცვივა. ღრუბლიანი ამინდი ხელს უწყობს მის დნობას. ქალაქში წყლის გუბეები დგას. დილის 8 საათზე პროკურორი და მილიციის უფროსი აჭარისკენ დაიძრნენ. ხულო უხვთოვლიანი რაიონია, თანაც მეწყერსაშიმ ზონაში მდებარეობს. დამეწყრილი ადგილებიდან გურიაში სახლდება ან ეკომიგრანტები, უმეტესად სწორედ იმ სოფელში, სადაც მკვლელობა მოხდა. ამ დამთხვევაზე არც პროკურორს და არც მილიციის უფროსს არ გაუმახვილებიათ ყურადღება. მათი აზრი თანხედრებილია, ეჭვიმტანილები, აჭარის გავლით, თურქეთში გადასვლას შეეცდებიან. გარაუდით თუ გამართლდა, ეს თავიანთი პროფესიონალიზმის გამარჯვება იქნება. არავის არაფერს უბნებიან, იქნებ ვარაუდი არ გამართლდეს... 12 საათზე ავიდნენ ხულოში. შეხვედრა პროკურატურაში შედგა. ორი რაიონის პროკურორები და მილიციის უფროსები ერთმანეთს მეტად მნიშვნელოვან საქმეზე ესაუბრებოდნენ. – ხასან ეფენდი, – მეგობრულად უთხრა მამუკამ თანაკურსელს, – აი, ეს ქალები ჩვენს რაიონს სტუმრობდნენ, მათი მონაყოლით, საქართველოს დასაოგალიერებლად ჩამოვიდნენ და ბაკურაძის აპირებდნენ წასვლას.

ამას მოჰყვა იმ სოფლის რწმუნებულის უსასტიკესი მკვლელობა, სავარაუდოდ იმ პირების მიერ, ვისთანაც ეს ქალები ცხოვრობდნენ. გაუჩინარდა ოთხივე. ოფიციალური ინფორმაციით, ამ ქალებიდან ერთი არის ძებნილი, – ჯიბიდან სურათები ამოიღო და ერთ-ერთზე მიუთითა, – გაქურდა ტანსაცმლისა და საიუველირო მძაზვია, საიუველიროდან დიდი რაოდენობის ოქროსა და ბრილიანტის ნაკეთობებია წამოღებული. გვაქვს ეჭვი, რომ ისინი არა დასასვენებლად, არამედ უცხოეთში გადასასვლელად ემზადებიან. იციან მათ, რომ აქ ელოდებოთ მინიმუმ თხუთმეტწლიანი პატიმრობა 3 წელი, ან დახვრეტა. აქედან თურქეთში გადასვლა შესაძლებელია? პირდაპირ მითხარი. ერთმანეთს შეხედეს მასპინძლებმა. რომ უთხრან, შესაძლებელიაო. გამოდის მორღეულია ქვეყნის საზღვარი, ვერ ვაკონტროლებთ, ვინ გადადის და ვადმოდის იქეთ-აქეთ. მაგრამ სტუმრების კატეგორიულ და მკაცრ მზერას დასტური მისცეს: – სამწუხაროდ, შესაძლებელია, იქითაც ხომ ჩვენი ნათესავები ცხოვრობენ. საიდუმლო ბილიკებით გადადიან, მამუკა. მაგრამ ეს ყველამ არ იცის, უფრო ხანდაზმულებმა იციან, რომლებიც ყველას არ ენდობიან. პირველი ვარაუდი გამართლდა, სტუმრებმა არ შეიმჩნიეს სიხარული.. – მექმე, იბრაგიმოვიჩი, – მიმართა კოლეგას სტუმრებმა, – გიტოვებ სურათებს. ყველა სანდო კაცს საზღვრისპირა სოფელში დაურვიე, თუ არ გეყოფა, გამრავლება არ გაგიჭირდება, თუ ეს ქალები აქ გამოჩნდნენ, თვალთვალი დააწესეთ. მათ აუცილებლად მამაკაცები ამოყვებიან. ყოველგვარი ხმაურის შემდეგ უნდა აიყვანოთ. იმედია, გვაცნობებ, – „სედოსი“ და „სერის“ სურათებიც მიაყოლა იმათ სურათებს. – მეგობრული და ოპერატიული თხვნა მიღებულია. განხორციელება მოხდება მხოლოდ ერთ შემთხვევაში, – თქვა ხულოს მილიციის უფროსმა და მასპინძელ პროკურორს შეხვდა. – კი, საქმე დაიწყება მხოლოდ ერთი პირობის შემდეგ რა უნდა იყოს საქმე? ალბათ ეკომიგრანტების ჩასახლება. სხვა ვერაფერი მოიფიქრეს გაცილებულმა სტუმრებმა. – მოსულა. – თქვა თამაზმა. – რა იცი, რა პირობას გვიყვებენ? ხასანი სტუდენტობაშიც ასეთი ანცი იყო, ადგილად ვერ მიუხვდებოდი ვერაფერს. – პასუხისმგებლობას მე ვიღებ თავზე, მამუკა, მიუხედავად იმისა, რომ პირველი მდივანი შენი მეგობარია, დაახლოებით ვიცი, მეგობრებს რა უნდათ და მე ვეტყვი ზურაბ ალექსანდროვიჩს. გაეღიმათ მასპინძლებს და უფრო შეუტიეს სტუმრებს. – თანახმა ხართ? – თანახმა ვართ, მაგრამ დარწმუნებული ვარ, თხვნა შესრულებადი იქნება, – ისევ დინჯად თქვა პროკურორმა. – შეთანხმდნენ, ხელი ჩამოართვეს ერთმანეთს. – სიტყვა სიტყვაა. ახლა წავალთ ერთი ჩვენი ახლობლის სახლში, იქ განხვებთ ერთ კაცს, თუ ამოიციან და არ გვაჩუქებთ, ამ საქმიდან არაფერი გამოვა. თუ გვაჩუქებთ, იმაზე მეტს გავაკეთებთ, თქვენ რომ გეონიათ.

– ხასან, გამაბეჩე, ვო? – აჭარულად მოუქცია მამუკამ, – თუ ძებნილია, როგორ გარუქო?! – იბრაგიმოვიჩი, სიტყვა მოგეცი და უკან ვერ წავიდე. წავიდეო, ვნახოთ და რაღაცაზე მოვრიგდებით. თან გვეჩქარება, ხომ იცი? – ზუსტად ორის ნახევარზე ერთ სოფელში მიადგნენ ოლა-სახლს. – ჩაკვლით. – ემპაქურად უთხრა ხასანმა თანაკურსელს. მექმემა ხელი გამოსდო თამაზს და და თოვლით გადაბარდნილ ეზოში შევიდნენ. სახლთან მისასვლელი ბილიკი გაწმენილი იყო. ულაზაზე სხელი მოჩანდა ქვევით. მართლაც სამოთხეს ჰგავდა აქაურობა. აჭარულ ტანსაცმელში გამოწყობილი შუახნის კაცი გამოვიდა სტუმრების შესახვედრად. – ხასან, ჩამყვანე სტუმრები? – – მეყვანე – აჭარულადვე მოუქცია ხასანმა. მასპინძელმა სტუმრებს ხელი ჩამოართვა და ოთახში შეუძღვა. ოთახში ციოდა. – დაბრძანდით. – უთხრა ხასანმა სტუმრებს, დასხდნენ სიცივისგან მოზუხული სტუმრები. მასპინძელი სამართადამცავები თითქოს სიცილს იკავებდნენ, ისე იქცეოდნენ. – მოიყვანე, ხასან, ის კაცი. – ჯემალ, შემოიყვანე. შემოვიდა დარცხვნილი ჯემალი. –თავი ასწიე, რომელი ხარ? – უთხრა თამაზმა. განება და ვერ იცნო მილიციის უფროსმა. გონება დაძაბა, ძებნილები, დამნაშავეები, ქურდები თითქოს კალიდოსკოპში გაატარა. არა, ვერ იცნო. – შეთანხმება ხომ ასეთია, სანამ ვერ იცნობთ და არ გვაჩუქებთ ამ კაცს, რაზეც ამოხედით, იმ საქმიდან არაფერი გამოვა. – ხასან, ისევ სტუდენტობის დონეზე დარჩი. რაღაცას ანგლობ, სარგებლობ მეგობრობით. თუ თამაზმა ვერ იცნო, მე როგორ უნდა ვიცნო და ამის გამო ამხელა საქმე არ უნდა დაეძრათ წინ? მითუმეტეს, შენი დახმარება როგორ გვჭირდება. მასპინძლები უკვე სიცილზე გადავიდნენ: – სელიმ, რა ვქნათ? – იქნებ ამ ოთახში უფრო იცნონ, შემეყვანეთ აქით. – შევიდეთ იმ ოთახში, იქნებ იქ იცნოთ ეს კაცი. – სიცილით თქვა პასანმა. სტუმრებს ჭირვეულობა არ დაუწყიათ, შევიდნენ დიდ ოთახში... დიდი, აგიზგიზებული ბუხარი, 8 კაცზე გაშლილი სუფრა... შესვლა და ცხელი ხაჭაპურის შემოტანა ერთი იყო. – მამუკა, ისე გავატარეთ ჩვენი სტუდენტობა, ერთმანეთის სახლში არ ვყოფილვართ. გახსენებაც მიჭირს იმ მძიმე წლების. შენი ამბავი რომ ვიცი, რაც არ უნდა მეთხოვა, არ წამოხვდოდით, ვერც თამაზ ვახტანგოვიჩს გაგიცნობდი ასე ახლოს. ეს ჩემი სახლია, ეს მამამეძი, ეს დედა, მეუღლე, შვილები, – გააცნო ხასანმა ოვანესის წევრები სტუმრებს. – ჩვენს გარდა, სუფრასთან სამი მეგობარი მეყოლება, რომლებიც კარგად მღერნიან და უკრავენ, მამამეძი კი ხან ჩვენთან ჩამოვდება, ხან მოვეყვასხურება. მძლოლები ცალკე ისადილებენ. **(გაგრძელება იქნება)**

სულთანა

კლარა გურბენიკე

უსაზღვრო გულისტიკე-ლი... ქართულ პედაგოგიურ საზოგადოებას კიდევ ერთი ღირსეული, სხვათაგან გამოჩენილი პედაგოგი გამოაკლდა.

გარდაიცვალა პროფესიონალური უსაზღვროდ შეგვარებული, უნაგარო პედაგოგიური ნაღვლით დაშველებული, უდიდესი პასუხისმგებლობის და მაღალი ინტელექტის მქონე, ქართული სიტყვიერების მაღლის გამზარებული, უნიჭიერესი და უსაყვარლესი ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი კლარა გურბენიკე.

იგი ათეული წლების მანძილზე შინაარსიანი, მაღალპროფესიული ღვაწლით, უღვივო ცოდნით ატარებდა საქართველოს სოციალისტური კავშირების, უზრდიდა მამულს „გულგანათლებულ, კონსტანტინოპოლის“ შთაგონებად ღვთივკურთხეული მამულის ერთგულებას, ზრუნვას. ხელისუფლებასთან უპრობლემოდ წარმოაჩენდა ნაწინააღმდეგარ ქართულ კლასიკურ მწერლობას. ნიადგ უქადგებდა „მამულის ჩვეულებრივ სლვას“.

მისეული ცოდნით აკვლიანებდა და ურთიერთსიყვარული შთაუწერდა მათ.



ასალაგაზრდა კოლეგებს. მის მიერ მოწოდებული ღონისძიებები გამოირჩეოდა აკადემიური და ორიენტაციით. საოცრად უყვარდა ახალგაზრდა კოლეგებთან მუშაობა, მათთვის სახსრების წარმოჩენა, რის გამოც დააფუძნა ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელთა კლუბი „მეზა“, რითაც მასწავლებლები ერთ გუნდად ჩამოყალიბდა, გამოცდილება

და ურთიერთსიყვარული შთაუწერდა მათ.

უკვალოდ არ ჩაუვლია თქვენს ნაღვას, ნაშრომი ბევრჯერ დაგთასდათ. ნაყოფიერი პედაგოგიური მოღვაწეობისათვის სახალხო განათლების წარჩინებულის წოდება მოგანიჭეს, მიღებული გაქვთ მაღლობის ბარათები, ქების სიგელები. რაც მთავარია, აღზრდილბი სულიერ მეგობრად მიგიჩნვევენ.

ჩვენში გაზაფხული შემოვიდა - და თქვენ მარადისობაში შებიჯეთ - დასაბნა, რომ ვერ მოგილოცეთ 3 მარტი - დედისა და შენი დაბადების დღე.

გვერდნებით, გვეწვიდობებით ქართული ენის უბადლო მასწავლებელს, საუკეთესო მეგობარს. ღმერთმა ნათელში აჩყოფოს თქვენი სული!

სამართლმოს აქლავობათა და მინიმალთა თამისუფალი პროფკავშირის ორგანიზაციის ორგანიზაცია.

ნებისმიერი უნივერსიტეტი ინატრებდა მსგავს პროფესიონალს

ოზურგეთის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლები - გისამხმირებთ! კლარა გურბენიკე გარდაცვლილა, ჩვენი კლარა მასწავლებელი! ძნელია იპოვო სიტყვები, აკინძო აზრად გამოვიყო - ისეთი კლარა გურბენიკის პიროვნებას რომ ეკადრება; უბადლო მექართულე, სულით მოძღვარი, მასწავლებელთა მასწავლებელი, „მადლიად მხედი“, მჭვერი, ბრძნად მოუბარი, უფაქიუსი, ზეცის მოტრფევალი, თავდაცვისშიერი, მიწაზე ყოფნა სულს რომ უხუთავდა, ყველასა და ყველაფერში ამაღლებულის მძიებული, უდალალტო, ერთგული მეგობარი - მე ასეთ კლარა გურბენიკეს ვიცნობდი!

ინატრებდა მსგავს პროფესიონალს, კლარა მასწავლებელს საკლასო ოთახი და მისი პატარები ერჩივნა ყველაფერს! საოცრად უყვარდა ახალგაზრდა კოლეგების წარმოჩენა, მასსოვს როგორ ველოდი ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელთა კლუბის „მთიების“ ყოველ შეკრებას, ქალბატონმა კლარამ გაგვაცნო, დაგვასწავა ერთმანეთს რაიონის „მექართულეები“, ჩვენი კეთილი დამრიგებელი გამათამაშებელი, ბიძგის მიძეცეში, საკუთარი თავის რწმენას და ჩვენი შესაძლებლობების დანახვას რომ გვასწავლიდა, მან დროს წინ გაუსწრო თანამშრომობითი კულტურის დანერგვით, ერთმანეთს ვიწვევდით გაკვეთილებზე, ვინატრებდით გამოცდილებას, განალიზებდით და რჩევას ვაძლევდით და ასე ერთობით ვიზრდებოდით როგორც პროფესიონალები ერთიან გუნდად ვეკლიდებოდით „ვიყვარებდით ურთიერთს“ ეს ყველაფერი კლარა მასწავლებლის დამსახურება იყო! ის პატარა ტანის დიდი ადამიანი იყო, საოცარი ქალბატონი, გამოჩენილი, თავისთავადი, არც არავის ჰგავდა „მტკიცეა მისი აზრზაზრება მძლმიეთის ბილიკებზე მიმეღებს ის, რომ სიკაშაშემში მიბრძანდება მარად ნათლის მძიებული, აფორიაქებულ სულს დაავანებს და კეთილს შეერწყმება!

ზიარებდით გამოცდილებას, განალიზებდით და რჩევას ვაძლევდით და ასე ერთობით ვიზრდებოდით როგორც პროფესიონალები ერთიან გუნდად ვეკლიდებოდით „ვიყვარებდით ურთიერთს“ ეს ყველაფერი კლარა მასწავლებლის დამსახურება იყო! ის პატარა ტანის დიდი ადამიანი იყო, საოცარი ქალბატონი, გამოჩენილი, თავისთავადი, არც არავის ჰგავდა „მტკიცეა მისი აზრზაზრება მძლმიეთის ბილიკებზე მიმეღებს ის, რომ სიკაშაშემში მიბრძანდება მარად ნათლის მძიებული, აფორიაქებულ სულს დაავანებს და კეთილს შეერწყმება!

ვქემალ დობორჯვინიკე ოჯახით ღრმა მწუხარებით იუწყება თანაკლასელი მეგობრის კატკუტარასის ასულ ლომამეჩხაიძის გარდაცვალებას და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს

უახლოესი მეგობრები თანაუგრძნობენ ციური და რომან ბაბილოძეებს დის მელიკო ვლადიმერის ასული ბაბილოძის გარდაცვალებას

გაზეთ „ალიონის“ რედაქცია იუწყება ჩვენი გაზეთის რედაქციის აფთონ გურგენიძის ქალიშვილის, ქართული ენისა და ლიტერატურის უბადლო მასწავლებლის კლარა გურბენიკის გარდაცვალებას და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

სკანკორდი

Grid with portrait of a man and various words and arrows.


პასუხები:

ილი - ბრანდსეზ არბ; ილი - ბრანდსეზ არბ... (List of names and words)

ბურიის რესპუბლიკა სელსუფლების ღონისძიებანი ბურიაში რეკონსტრუქციის მოპრობის ჩახუმობის მიზნით

იზმადება მხკლპური უფლებანი

დასაწყისი ინ. „ალიონი“ №34-35, 1-2.



შემოქმედისა და ბავის სასოფლო საზოგადოების ყრილობებმა გლეხთა წრიდან აირჩიეს 12-12 წარმომადგენელი, რომელთაც კრიმ-გირეისათვის უნდა მოეხსენებინათ გლეხობის მოთხოვნები და ამავე დროს პასუხი გაეცათ მის შეკითხვებზე. ყრილობის გადაწყვეტილებით სოფლის მამასახლისები, მწერლები და სამღვდლოება ყრილობიდან დათხოვეს. ყრილობის მიერ არჩეულმა წარმომადგენლებმა კრიმ-გირეის სთხოვეს, რომ იმ წარმომადგენელთა გვარები, რომლებიც სიტყვით გამოვიდოდნენ, არ ჩაეწერათ. ასეთი სოფრთხილ ვლევებმა იმით ახსნეს, რომ 1903 წელს გურიაში ქუთაისის სამხედრო გუბერნატორ ალექსეი სმაგინის მოგზაურობის დროს გლეხებმა გუბერნატორს თავიანთი გასაჭირის შესახებ მოახსენეს, გუბერნატორის წასვლის შემდეგ კი ისინი დააპატიმრეს.

ბელია ცენზურის გაუქმება;

7. ცნობილი ვახდა, რომ უნდა ჩატარდეს ერობის შემოღების თაობაზე სამაზრო კრება. ვაირკვა, რომ კრების დღეუბები ხალხს კი არ აურჩევია, არამედ ოზურგეთის მაზრის ხელმძღვანელობამ შერჩია. აუცილებელია, რომ დღეუბები ხალხს აირჩიოს და თანაც ფარული კენჭისყრით;

8. დაკანონდეს შეკრების თავისუფლება, პიროვნების ხელშეუხებლობა, ხალხს მიეცეს უფლება თავისუფლად განაცხადოს აუცილებელ საჭიროებათა შესახებ და ამ განცხადებისათვის არ დაისჯოს;

9. გლეხთა მიწების გაზდა სახელმწიფო და საეკლესიო მიწების ხარჯზე;

10. დრამის გადასახადის გაუქმება;

11. გლეხების მიერ შემოქმედებული მიწის იჯარით აღების შემთხვევაში გლეხობის სასარგებლოდ საიჯარო პირობების გაუქმობა. გვაღვის, სეტყვის, წყალდიდობის და სხვა სტიქიური მოვლენების შედეგად მოსავლის დაზიანების შემთხვევაში მიყენებული ზარალი თანაბრად განაწილდეს მემამულესა და გლეხზე;

12. სასკოლო ასაკის მიღწეული ბავშვებისათვის განათლების მიღების შესაძლებლობა;

13. სოფლებში შემოქმედისა და ბავშვთა 1902 წელს კავკასიის მთავარ-მმართველის ბრძანებით დახურული ბიბლიოთეკებისა და სამკითხველოების აღდგენა;

14. სოფლის მამასახლისების სოფლის ყრილობის მიერ არჩევა, როგორც ეს წინათ იყო.

ბიბლიოთეკებისა და სამკითხველოების გახსნის, ასევე სოფლის მამასახლისების ყრილობის მიერ არჩევასთან დაკავშირებით, ნიკოლაი სულთან კრიმ-გირეიმ გენერალ-მაიორ მაქსუდ ალიხანოვ-ავარსკის სთხოვა აზრის გამოთქმა, რომლისგანაც დეპუტით ასეთი პასუხი მიიღო: „მთლიანად ვიზიარებ თქვენს შეხედულებას, მაგრამ მის განხორციელებას შემიძლია მხოლოდ ადგილზე ჩამოსვლის შემდეგ შეუქმდე“.

შემოქმედისა და ბავში გლეხობასთან შეხვედრის შემდეგ ნიკოლაი სულთან კრიმ-გირეიმ გენერალ-მაიორ მაქსუდ ალიხანოვ-ავარსკის შეხვდა, რომელიც დარწმუნებული იყო, რომ ოზურგეთის მაზრაში გლეხობა ვარის შეყვანის შემდეგ დაწესდებოდა. გენერლის ამ მოსაზრებას კრიმ-გირეიმ არ იზიარებდა: „მე არ შემიძლია ეს შეხედულება გავიზიარო და სავსებით დარწმუნებულმა შემიძლია განვაცხადო, რომ ხალხის ნაწილობრივი დამშვიდება დაემთხვა გურიაში ვარის გაგზავნას და იმ ცნობის მიღებას, რომ გურია გამოვიდა ქუთაისის გუბერნიის ადმინისტრაციის დაქვემდებარებიდან და მისი მართვა გენერალ-

მაიორ ალიხანოვ-ავარსკის გადაეცა. როგორც ჩანს, ოზურგეთის მაზრის პოლიცია თავის მოვალეობას ვერ ასრულებდა, ვერ შეინარჩუნა თავი შეკავება, დაკარგა თვითკონტროლი, რაც განსაკუთრებით სამწუნარო იყო იმ გართულებების პირობებში, რომელიც მუდმივად წარმოიქმნებოდა ერთის მხრივ მემამულეებსა და მათ მოიჯარე გლეხებს შორის და, მეორეს მხრივ, გლეხობასა და სამღვდლოებას შორის. შექმნილ ვითარებაში სრულყოფილად არ ყოფილა დასაბუთებული გლეხთა დაპატიმრებისა და გასახლების გადაწყვეტილება, რამაც სასოფლო ყრილობაზე საჩივრების და განცხადებების წარდგენა გამოიწვია“.

ნიკოლაი სულთან კრიმ-გირეიმ გურიაში მოსახლეობის დამშვიდებისა და ცხოვრების ნორმალურ კალაპოტში ჩაყენების პირობად მიიჩნევდა:

1. უახლოეს მომავალში გლეხთა მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესება;

2. მოსახლეობაში იმ რწმენის დანერგვა, რომ კანონიერება აუცილებელია უნდა აღდგეს;

3. ოზურგეთის მაზრის ხელმძღვანელობის მიერ სამართლიანობის მკაცრად დაცვა;

4. სოფლის ყრილობების მიერ წამოყენებული ზოგიერთი სამართლიანი მოთხოვნის დაკმაყოფილება;

ა) გურიის სოფლებში 1902 წელს დახურული ბიბლიოთეკებისა და სამკითხველოების გახსნა;

ბ) თუ ყველა სოფელში არა, ზოგიერთში მაინც მამასახლისების სოფლის ყრილობის მიერ არჩევის წესის აღდგენა;

გ) გურიიდან ადმინისტრაციული წესით თუ ყველა გასახლებულის არა, ნაწილის მაინც დაბრუნება;

დ) გურიიდან ვარის გაწვევას, თუმცა ვარის გაწვევის შემდეგაც გენერალ-მაიორ ალიხანოვ-ავარსკის გუბერნატორის უფლებები უნდა შეინარჩუნებოდა.

ნიკოლაი სულთან კრიმ-გირეის, კავკასიის ადმინისტრაციის ერთ-ერთი გავლენიანი თანამდებობის პირის მიერ შემოქმედებული რეკომენდაციები სანქტიონირება იმით, რომ მათი განხორციელება დროებით მაინც დააშვებოდა გურიის მოსახლეობას, რაც ხელისუფლებას გურიის დასარბევად გამზადებული ვარის (გენერალ-მაიორ მაქსუდ ალიხანოვ-ავარსკის რიონის რაზმის) გამოყენების მიზნის მოუსპობდა. ნიკოლაი სულთან კრიმ-გირეის მიერ შედგენილმა ანგარიშმა და მის მიერ შემოქმედებულმა რეკომენდაციებმა ხელისუფლება დააფიქრა და დიდი სისხლისღირსა გურიაში დროებით გადაიღო.

ნიკოლაი სულთან კრიმ-გირეის შეხვედრები გურიის სოფლების მოსახლეობასთან

(სრული ანგარიში)
შემოქმედისა და ბავის სასოფლო საზოგადოების ყრილობებზე 1905 წლის 22-23 თებერვალს გლეხთა წარმომადგენლები მოსმენილი საჩივრებისა და განცხადებების შემდეგ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ნიკოლაი სულთან კრიმ-გირეიმ წინასწარი ანგარიში შეადგინა. ამის შემდეგ მან გურიაში მოგზაურობა გააგრძელა და შეხვდა სოფლების: **ხიდისთავის, ღანჩხუთის, ჩოხატაურის, სურების, ნიგოთის, ასკანის, ნანეიშვილის, ნიგოთის, ერკეთისა და ვჯარცის** მოსახლეობას. ამ სოფლებში კრიმ-

გირეიმ გლეხების მიერ არჩეულ დეპუტატებს შეხვდა და მათთან მოისმინა სოფლის მოსახლეობის სატყვიარო. სპეციალურად ამისათვის გამოყოფილი მოხელე კრიმ-გირეისა და გლეხთა დეპუტატების საუბრის ჩანაწერებს აკეთებდა. ჩანაწერებმა საბოლოო სახე 1905 წლის მაისში მიიღო. სავარაუდოა, რომ ამ ჩანაწერებში ბევრი რადიკალური ხასიათის მოთხოვნა ვერ აისახა. მოვიტანთ საინტერესო მასალას ამ ჩანაწერებიდან:

ხიდისთავი

ნიკოლაი სულთან კრიმ-გირეიმ: გასხვადეთ, რომ მე აქ მოვედი არა ჩემი საქმისათვის, არამედ თქვენ საჭიროებათა გამოსარკვევად. მიუხედავად იმისა, რომ სიმათლე, რომელსაც თქვენ იტყვიან, ჩემთვის მწარე იქნება, მე მაინც ვთხოვ ყველაფერი პირდაპირ და გულწრფელად მითხრათ, რაც კი თქვენს ცხოვრებას ეხება, მითხრათ ყველა თქვენი გასაჭირის შესახებ.

დეპუტატი: თქვენ ჩამოხვედით აქ, გურიაში, იმიტომ, რომ თითქოს აქ რაღაც არაჩვეულებრივი ხდებოდა, რადგან ისეთი, რომლის შესახებაც რუ-სეთში არავის სმენია. თქვენ ცდებით.

ნიკოლაი სულთან კრიმ-გირეიმ: მე აქ ჩამოვედი იმ მიზეზების დასადგენად, რომელმაც მოავრობისა და ხალხის შეჯახება გამოიწვია და არა იმისათვის, რომ თქვენ შორის დაძაბუებულებო.

დეპუტატი: მაშინ მოისმინეთ, რასაც ჩვენ გეტყვი. ჩვენი მოთხოვნები სულ 3 სიტყვით გამოიხატება: ჩვენ გვინდა პური, მართლმსაჯულება და თავისუფლება. ჩვენ არ გვაქვს არც პირველი, არც მეორე და არც მესამე. პირველად ვიტყვით პურის შესახებ. ჩვენ არ ვითხოვთ, რომ მოგვცეთ გამზადებული გამოცხვარი პური. სულადაც არა! ჩვენ მოვითხოვთ, რომ ჩვენი შრომის ნაყოფი ჩვენვე ვისარგებლოთ და იგი არავინ წაგვართვას. შეხედეთ ამ ხალხს: აქ თქვენ წინაშე დგას შრომელი ხალხი, მუშები და ეს ძნელი სულაც არ არის, რომ ერთი შეხედვით შეიცნოთ, რომ ისინი გამხმარი არიან, როგორც სკილეტები მზე. ნუთუ მათ არა აქვთ უფლება, რომ თავიანთი შრომის ნაყოფი მოითხოვონ. მოითხოვონ პურის ნაჭერი, მოწვეული თავიანთი ოფლითა და სისხლით, მიხმარონ იგი თვითონ და არ მისცენ ვიღაც მუქთამ-კამელეს? ჩვენ ამის უფლება არ გვაქვს, ეს ჩვენ ვიცით. მიზეზი იმისა, რომ ჩვენი შრომით უსაქმურები სუქდებოდნენ, იმაში მდგომარეობს, რომ მიწათმოქმედი მშრომელი მოკლებულია მიწას. მიწა, რომელიც მათი ოფლითაა გაყენილი, სხვის საკუთრებას წარმოადგენს. მიწათმოქმედი უნდა დაეთანხმოს იმ პირობებს, რომელსაც მას მემამულე უყენებს, რაც გლეხს გამოუვალ მდგომარეობაში აგდებს. ამჯერად გლეხობა ამ მდგომარეობიდან თავის დასხნას საკუთარი ძალებით ცდილობს. რა უნდა აკეთოს უბედურმა მიწათმოქმედმა? მას არა აქვს საკუთარი მიწა, არ არსებობს სასამართლო, რომელიც მას მემამულის თვითნებობისაგან დაცვავდა. ირგვლივ ჩვენ მხოლოდ უსამართლობას ვხედავთ. სასამართლო და პოლიცია იარაღია მემამულის ხელში, რომელსაც იგი ჩვენი შევიწროებისათვის იყენებს. დიაცხ, პოლიცია და მემამულე ხელი-ხელ

ჩაკედებული იბრძვიან მიწათმოქმედთა წინააღმდეგ (...). ჩვენს შორის ბევრი ვერგდროებული დროებითი ვალდებული გლეხია. ისინი იგივე ყმები არიან. ვისვან და რატომ უნდა გამოისყიდონ მთი მიწა? რატომ უნდა გამოისყიდონ მთი ის ერთი მტკაველი მიწა, რომელსაც უხსოვარი დროიდან ამუშავენ? ეს ამკარა უსამართლობაა, ჩვენ მოვითხოვთ, რომ დროებით ვალდებული გლეხობა გათავისუფლდეს და მიწა მიიღოს ყოველგვარი გადასახადის გარეშე. გარდა ამისა, მიწის გამოსაცემი თანხა, რომელიც უსამართლოდ წაართვეს გლეხობას, უნდა დაუბრუნდეს მათ. ღარიბმა გლეხმა რატომ უნდა გამოისყიდოს ის მიწა, რომელიც კაპიტანე ვი მისი საკუთრებაა? ჩვენ ასევე ვითხოვთ სახელმწიფო, საეკლესიო, სამონასტრო და სასოფლისწულო მიწების გლეხობისათვის გადაცემას.

ნიკოლაი სულთან კრიმ-გირეიმ: სახელმწიფო მიწების გლეხობისათვის გადაცემა კავკასიის ზოგიერთ გუბერნიაში უკვე დაიწყო. საჭიროა ამ პროცესის მხოლოდ დაჩქარება.

დეპუტატი: ჩვენიდან საზღვარგარეთ ვატყვით შაქარი იქ უფრო იაფად იყიდება, ვიდრე ჩვენთან. ავიღოთ სააქციზო გადასახადი სპირტიან სსმელზე (არაყზე), ჩვენი ყურძენი „ოლესა“ ღვინისათვის გამოუსადეგარაა, ვენახის სხვა ჯიშში კი ჩვენთან არ ხარობს. ჩვენ იძულებული ვართ გამოვხადოთ არაყი. აქ კი ხელმძღვანელობა ჩვენ მსზე დავვიცო; დაიწყო სააქციზო გადასახადის ვარდა იმ ზომიდან, რომ არყის გამოხდა უკვე წამებთან გახდა. ნუთუ თქვენ ამას სამართლიანობას უწოდებთ? ნუთუ ჩვენ არ გვაქვს უფლება, რომ მიწის ნაყოფით ვისარგებლოთ, იმ მიწის ნაყოფით, რომლით სარგებლობისათვის ჩვენ არა მართლ უნდა გადასახადს ვიხდით? ეს ხომ ჩვენ მიერ დამუშავებული მიწის, ჩვენი შრომის ნაყოფია? ჩვენ მოვითხოვთ ამ გადასახადების, ყოველგვარი არაპირდაპირი გადასახადის, გაუქმებას.

ნიკოლაი სულთან კრიმ-გირეიმ: მე შესაძლებლად მიმანია ვიშუადგომლო, რომ არაყზე სააქციზო გადასახადი გაუქმდეს მხოლოდ გურიაში.

დეპუტატი: გადავიდეთ ახლა სამღვდლოებაზე: ბერებსა და მღვდლებზე. ისინი არანაკლებ ჩაგრავენ ხალხს. მათი ხელობაა: პირმოთნობა, მორჩილება და მონობა. ჩვენ გვირჩევენ ზეცას შევეცქიროდეთ, თვითონ კი ჩვენს ჯიშში მიძვრებიან? ისინი ჯილდოს გარეშე სიტყვასაც არ დაძრავენ და მუდმივად თხოვენ: ფულს, ფულს და ფულს. ჩვენ უარს ვამბობთ სამღვდლოების შესახებ ყოველგვარი გადასახადზე და მოვითხოვთ ეკლესიის სახელმწიფოსაგან გამოყოფას. ანუ მღვდელი შეინახოს იმან, ვინც მის ღოცვაკურთხევასა და დლოცვას საჭიროებს. ჩვენ ასევე მოვითხოვთ, რომ მღვდლებს აკრძალეთ სკოლების გახსნა, ბავშვების აღზრდაში სასულიერო პირებმა არანარი მონაწილეობა არ უნდა მიიღონ, რადგან ისინი თავიანთი გაუკუღმართებული აზრებით ბავშვების ნათელ გონებას ანელებენ. ღმერთის ესათნობა, რომ ჩვენ სულით და ხორცილ სუფთანი ვიყოთ.

(გაგრძელება იქნება)
მანტანე ბურული
(საქართველოს ახალი ისტორია, 1801-1918) გვ.336-338

ოზურგეთის „არწივებმა“ ასპინძაში „ტაოს“ სკლიუს



6 თებერვალს, ასპინძაში ოზურგეთის „არწივებმა“ საქართველოს პირველობაზე რაგბიში პირველი ლიგის გუნდებს შორის, გათამაშების ერთ-ერთ ლიდერს ასპინძის

მარცხი „ტაოს-თან“ ოზურგეთში. ახლა გათამაშების ცხრილში „არწივები“ მე-2 პოზიციაზე იმყოფება. „ტაო“ ერთი ქულით ჩამოგვრებულა და გამარჯვების შემთხვევაში მე-2 ადგილზე გადმოვიდოდნენ. მათ მართლაც შემართებით დაიწყეს ეს შეხვედრა და პირველ ტაიმში 22:5 წინ გავიდნენ. თუმცა „არწივებმა“ მეორე ტაიმში შეძლეს ძალების კონცენტრაცია და საბოლოოდ 33:28 დაამარცხეს მეტოქე „ოზურგეთელთაგან“ ლელო გაიტანეს: გონა ჯიქია - 2, შოთა ცეცხლაძე, გიორგი ბეჟანიძე, ლაშა პაპიძე - თითო ლელო. 4 გარდასხვა წარმატებით შეასრულა მამუკა ჩანჩიბაძემ.

„ტაოს“ სძლიეს. **ბონდო ლლონტი**, ოზურგეთის რაგბის კავშირის დირექტორი: - „შეხვედრა რამდენიმე წუთის წინ დასრულდა. გახსოვთ ალბათ დასანანი

„არწივებს“ ახლა 27 ქულა აქვს და უახლოესი მდევარი „ტაო“ მას 4 ქულით ჩამორჩება.

ალიონი-90

უკეთეს საქართველოში ერთად გვეზიგოს



გვეზიგოს საყვარელი გაზეთის საუკუნოვანი ოუბილე.

დავით შამოქვაძე

რედაქციიდან მაცნობეს, ჩემი სიყრმის გაზეთს, სადაც ჩემი პირველი გაუბედავი სტრიქონები იბეჭდებოდა და რომლის თითქმის ყველა ნომერს გულისფანცქალით ველოდებოდი, ოთხმოცდაათი წელი შეუსრულდაო. იყო პირუთენელი მემატიანე კატაკლიზმებით, ომებით, შინაგანი რყევებით სავსე სამშობლოში საქართველოს ამ უღამაზესი კუთხის ცხოვრებისა, ეს საამაოც არის და თავმოყვანილებელიც. ჩეკისტურ-ათეისტური პერიოდიდან დღემდე - ფსევდოდემოკრატიამდე, გაზეთმა შეძლო მართლის თქმის პრინციპისა და ზნობრივი ღირსიდან არ გადაეხვია. სიამოვნებით ვიხსენებ ამ გაზეთის მაღალი ინტელექტისა და ასევე მაღალი ზნობის

მატარებელ რედაქტორებს, აფთონ გურგენიძეს და თამაზ სალუქვაძეს - უკლებლივ ყველა თანამშრომელს, რომლებიც თავდადებით იღვწოდნენ თავისი მხრის გაზეთის პრესტიჟისთვის და იმთავითვე, ვინც დღეს არაკონიუნქტურული ტიპის მედიისათვის ურთულეს პირობებში აცოცხლებს ამ გაზეთს. ამბობენ, ბავშვობის სიყვარული მარადიულია და, ამდენად, დღემდე ვრჩები ჩემი მშობლიური გაზეთის ერთგულ მკითხველად. თქვენ კი, ჩემო ძვირფასო ოზურგეთელებო, ვისურვებდი, მალე გადავილიყოს მსოფლიოს შავი ჭირის ეს ქარბორბალა და თუ ოთხმოცდაათი წლის ჭარმაგს სათანადოდ ვერ მოვყვარეთ, უკეთეს საქართველოში ერთად

საქართველოს რუსთაველის საზოგადოების პრეზიდენტი, დავით აღმაშენებლის, გალაკტიონ ტაბიძის, ნიკო ლორთქიფანიძისა და ივანე მაჩაბლის პრემიების ლაურეატი. ქართული კულტურის დესპანი.

მუშულა (riobotrya japonica)



მუშულა (აბონური ზღმარტლი) განთქმულია ნაყოფის ადრე მოწიფებით, ნაყოფი გემრიელი და უხეუნანია. იჭმევა ნედლად, შეიძლება გამოყენებულ იქნას აგრეთვე დასაკონსერვებლად. ნაყოფი შეიცავს შაქარს 8-დან 12 %-მდე, ვიტამინი B - 1,72 მგ. 100 გრამში. ადრე შემოსვლის გამო (ივნისი) მის ნაყოფზე მოთხოვნა ძალზე დიდია. ნაყოფის უარყოფითი მხარეა თესლის დიდი რაოდენობით შემცველობა და სუსტი ტრანსპორტაბილურობა. ხე მარადმწვანე დიდი ზომის მუქ მწვანე ფოთლებით და ღამაზი ყვავილების მტკვრებითაა შემკობილი, რის გამოც იგი ითვლება საუკეთესო სადეკორაციო მცენარედ. მის ფოთლებს იყენებენ სამკურნალო დანიშნულებითაც. მუშულა მიუხედავად მისი მაღალი ყინვაგამძლეობისა, ყვავილი და ნაყოფი ხშირად ზიანდება ყინვებისგან.

აბონიაში მუშულა კულტივირებულია ათას წელზე მეტი ხნის წინათ. მსოფლიოს დანარჩენი ქვეყნებისათვის იგი შედარებით ახალი კულტურაა. ევროპაში პირველად ინტროდუცირებული იქნა 1784 წელს. იტალიაში მუშულა შედარებით გვიან (1913 წ.) შემოიტანეს, თუმცა აქ ეს კულტურა ძალზე პოპულარული გახდა. ამიტომაც, რომ რამდენიმე ათეული საუკუნეთა ვაჭრობის გამოც ვანილია იტალიაში.

საქართველოს სუბტროპიკებში მუშულა ყვავილობს ნოემბერ-დეკემბერში, ნაყოფს იძლევა მხოლოდ თბილი ზამთრის პირობებში, როდესაც ყინვები -50°C-ზე დაბლა არ იწვევს. მისი ყვავილები და ნასკვები ზიანდება -5-60°C ტემპერატურის დროს, ხოლო მცენარე -140°C-მდე ყინვას უძლებს. როგორც ნაყოფის მომცემი მცენარე მისი გაშენება შესაძლებელია შავი ზღვის სანაპირო თბილ ზოლში ციტრუსოვან კულტურებთან ერთად. როგორც დეკორატიული მცენარე იგი ფართოდაა წარმოდგენილი და-სავლეთ საქართველოს მთელ რიგ რეგიონებში და აღმოსავლეთ საქართველოშიც კი.

მუშულა მიეკუთვნება ვარდისებრთა (ლოსაკეა) ოჯახს, ხე საშუალო სიმაღლისა 6-9 მეტრამდე, ფოთლები დიდი ზომისა, მუქი მწვანე ფერის, სქელი, ტყვიისებრი. ყვავილები თეთრია, სურნელოვანი, მწარე ნუშის სუნის მქონე, შეკრებილია ფართო საგველად. ნაყოფები ჩამოკიდებულია თავისუფალ მტკვრებში, ნაყოფი მრგვალია,

ოვალური ან მსხლისებრი ფორმის, ფერით მკრთალი ყვითლიდან ნარინჯისფერამდე. ნაყოფი წვნიანი, ოდნავ მჟავ. ნაყოფები მოწიფება მისი-ივნისში. ნაყოფებში ვითარდება 3-5 თესლაძე, გვხვდება ერთ და ათეულიანი ნაყოფებიც კი, თესლი საკმაოდ დიდია.

აბონელ მეცნიერს იკედას მიერ აღწერილია 45 ვიში, რომელთაგან სამრეწველო გაშენებისათვის რეკომენდირებულია 8 ვიში: ედგანი, შამანი, ადრეული წითელი, პრემიერი ტანაკა, ფელასი, კომუნე. აღნიშნული ვიშები ერთმანეთისგან განსხვავდებიან ნაყოფის ფორმით, გემოთი, შეფერილობით, თესლების შემცველობით, წვნიანობით და სხვა მარკებლებით. სამწუხაროდ საქართველოში მუშულას ვიშობრივი კლასიფიკაცია დაცული არაა, რასაც პურსექტივაში ჯეროვანი ყურადღება უნდა მიექცეს.

მოვლა-მოყვანის ტექნოლოგია: მუშულა მრავლდება თესლითა და მცნობით. თესლით გამრავლებისას მცენარე არაერთგვაროვანი და მნიშვნელოვნად განსხვავდება საწყისი ფორმისაგან ნაყოფის ფორმით, სიდიდით და გემოთი. თუმცა თესლით გამრავლება მეტად იოლი და ხელმისაწვდომია. თესლით გამრავლებისას არჩევენ მხოლოდ საუკეთესო თვისებების მქონე მცენარეებს და მისგან ამზადებენ თესლს. თესლის დამზადება ხდება ივნისში და მამხრე თესვას აწარმოებენ წინასწარ მომზადებულ

კვლებში ერთმანეთისგან 7-8 სმ დაცილებით. დათესვიდან 10-15 დღეში თესლები იძლევიან აღმონაცენს და კარგი მოვლის პირობებში (ყვება, გასუფთავება, მორწყვა) შემოღობისათვის აღწევენ 20-30 სმ სიმაღლეს, რაც სტანდარტულად ითვლება. თუ კი ნერგების გამოყვანა მცნობითაა გათვალისწინებული ნათესარის (საძირის) დი-ამტრი უნდა იყოს 1-1,5 სმ მცნობა ტარდება სექტემბერში. კვირტი სამცნობად აიღება გასული წლის ტოტებიდან. დასამცნობი კვირტი უნდა იყოს არანაკლები 3 სმ-ისა, რადგან მუშულას კანი სქელია. გაზაფხულზე გასარებული ნერვი გადაიჭრება ცერზე. კვირტი მცნობისას მცნობა შეიძლება ჩატარდეს გაბობით. ამ შემთხვევაში საძირის დი-ამტრი უნდა იყოს 3-5 სმ. ასეთი წესით მცნობა ტარდება მარტში. დამცნობი მცენარეს შემოყვება ფხვიერი ნიადაგი ხედა კვირტამდე, რაც იცავს ნამცენს გამოშრობისგან. მას შემდეგ, როდესაც ნამცენი დაიწყებს

ზრდას, ნიადაგს მოამორებენ. ნარგაობის ან პლანტაციის გასაშენებლად მუშულას სტანდარტულ ნერგებს რგავენ გაზაფხულზე მარტ-აპრილში, ან შემოდგომაზე - ოქტომბერში. უკეთესი გასარებისთვის ნერგების გამოყვანა ხდება მიწის კომით კონტეინერებში, ან პოლიეთილენის პარკებში. ნერგების დარგვა მუდმივ ადგილზე შესაძლებელია 6X4 ან 5X4 მეტრზე დამორებით, რაც შეადგენს 400-500 მცენარეს ერთ ჰექტარზე. ვარჯის ფორმირებისას შტამის აძლევენ 50-80 სმ-ის სიმაღლეს და ტოვებენ 4-5 ძირითად ტოტს. 2-3 წლის შემდეგ, როდესაც ვარჯი ფორმირდება, აწარმოებენ მსუბუქ გამომწვანებას, ვარდა ამისა ამორებენ დაზიანებულ ტოტებს. ნიადაგის დამუშავება და შემდგომი მოვლა მსგავსაა სხვა ხეხილოვანი მცენარეებისა. კარგ შედეგს იძლევა თითოეულ ძირზე გაზაფხულზე კომპლექსური მინერალური სასუქით -1 კგ. ერთ ძირზე

გამოკვება, ასევე გადაწვარი ნაკელის (15-20 კგ) შეტანა ჩაკეთება. სიკვანთი დაავადებისაგან დასაცავად მიზანშეწონილია მარტ-აპრილში მსხობიარე ხეების ბორდოს 2 %-იანი ხსნარის შესურება.

მუშულა, როგორც დეკორატიული მცენარე, შესაძლებელია დავრგოთ ინდივიდუალურად ეზოებში, ან ხეივანებში შერეულ ნარგაობასთან ერთად. ასევე, როგორც მარადმწვანე მცენარე შესაძლებელია გამოვიყენოთ კულისებულ ქარებისა და ჰაერის ცივი მასებისაგან დასაცავად ლიბონის პლანტაციებში.

ამრიგად ეს კულტურა უყურადღებოდ არ უნდა დარჩეს. ჩვენს ეზოებში, აგარაკებსა და ხეივანებში მას აუცილებლად უნდა მიუჩინოთ საპატიო ადგილი სხვა კულტურებთან თანარსებობაში.

ზაურ გაბრიჩიძე
სმ. დოქტორი. პროფესორი
ნიკა გუშთაძე
- მაგისტრანტი



„ნიუჯენი“ ბათუმში უმაღლესი ხარისხის TVS-ს ბრენდის შიგაფრის და ელემენტორსაპარტამენტს, ასევე ჩაფხუტებს და სხვა მორტო აქსესუარებს. **ბადმორჯანი სპორტსა, იმპორტი მონომიურად და გაუზრთხილდი ბარამოს.** ტელ: 593 91 91 99
მის: ოზურგეთი, სოფ. ლიხაური
ელ-ფოსტა: newgengeorgia@gmail.com

7 დღის ამინდის პროგნოზი

გზე, ღრუბელი +4+11	წვიმა +1+7	წვიმა -2+5	თოვლი -1+5	გზე, ღრუბელი +1+4	გზე, ღრუბელი -2+4	თოვლი 0+6
15 თებერვალი ორშაბათი	16 თებერვალი სამშაბათი	17 თებერვალი ოთხშაბათი	18 თებერვალი ხუთშაბათი	19 თებერვალი პარასკევი	20 თებერვალი შაბათი	21 თებერვალი კვირა